



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თბილისი  
2017

## *ვუძღვნი დედის ხსოვნას*

რედაქტორი

მიხეილ ქავთარია

რეცენზენტები

მზინა სურგულაძე

ნანა ჩიკვატია

საგამომცემლო ჯგუფი

ირმა ბერიძე

ლანა ბრძელიშვილი

ვლადიმერ პერანიძე

ISBN 978-9941-9539-4-1

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017

მეფე თეიმურაზი

## წამება ქათვან დედოფლისა

ახალი გამოცემისათვის ტექსტი მოამზადა,  
შესავალი და კომენტარები დაურთო  
თეა ქართველიშვილმა

„ნამება ქეთევან დედოფლისა“ ისტორიული პოემის პირველი ნიმუშია, რითიც თეიმურაზ I-მა ქართულ სინამდვილეში დაამკვირდა ისტორიული პოემის ჟანრი. პოემა შეიცავს მნიშვნელოვან საისტორიო ცნობებს როგორც ქეთევან დედოფლის მოღვაწეობისა და მონამობრივი აღსასრულის ასევე XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის შესახებ. პოემა აღსანიშნავია იმითაც, რომ ნაწარმოებში მეფე-ავტორი გადმოგვცემს თავის ხედვასა და დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებისადმი.

კომენტარებში თავმოყრილი სხვადასხვა წყაროს ანალიზის ფონზე უფრო თვალსაჩინო ხდება ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და ნამებასთან დაკავშირებით დატრიალებული დრამატული მოვლენები.

## შესავალი

თეიმურაზ I-ის პოემა „ნამება ქეთევან დედოფლისა“ გამოცემულია ალ. ბარამიძის მიერ. პირველად დაიბეჭდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ მეორე ტომში (ტფილისი, 1928 წ.). 1934 წელს გამოვიდა თეიმურაზ პირველის თხზულებათა სრული კრებული (ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით), რომელშიც შევიდა პოემის ტექსტი და გამოკვლევა. აღნიშნული ტექსტი მესამედ გამოვიდა „ქართული პოეზიის“ მესამე ტომში (1975 წ.). მართალია, ალ. ბარამიძემ პოემის ტექსტი ყველა ნუსხის შეჯერების საფუძველზე გამოსცა, მაგრამ იკითხვისების გარეშე. ჩვენი პუბლიკაცია მიზნად ისახავს პოემის გამოცემას იკითხვისებითა და კომენტარებით.

პოემის ტექსტის შემცველი ხელნაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ არქივში და ს. მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში: A-1242, A-1635, H-1214 (ნაკლული), S-193, S-403, S-342, S-1103, S-1203, S-1508, S-1511, S-2694, S-3723, S-5126, სეა 396, სეა 254, სეა 290, სეა 396, სეა 509, გსიემ 24/125. „ქეთევანიანის“ თეიმურაზისეული ავტოგრაფი ჩვენ არ შემოგვრჩენია (ზოგადად, თეიმურაზის თხზულებათა არცერთ ავტოგრაფულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია), ამიტომ კრიტიკული ტექსტის დასადგენად ავირჩიეთ XVII და XVIII საუკუნის ნუსხები. ტექსტის დამუშავებისას გამოყენებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა (ხეც) და საქართველოს ეროვნული არქივის (სეა) კოლექციებში დაცული ხელნაწერები: ხეც: S-342, S-403, S-1103, S-1508; სეა: 254, 290.

ხელნაწერი S-342 არის კრებული, რომელიც გადაწერილია 1773 წელს ცნობილი კალიგრაფის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ. კრებულში, სხვა თხზულებებთან ერთად, შესულია თეიმურაზ I-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც განთავსებულია კრებულის 258-274 გვერდებზე (S ფონდის აღწერილობა 1959: 397). თხზულება სრულადაა შემორჩენილი და კრიტიკული ტექსტის დასადგენად მნიშვნელოვან ნუსხას წარმოადგენს.

ხელნაწერი S-403 თეიმურაზ I-ის თხზულებათა კრებულია, XVIII საუკუნეს ეკუთვნის, ზუსტი თარიღი უცნობია. ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ მისი გადამწერი უნდა იყოს ცნობილი მნიგნობარი ონანა ქობულაშვილი (თეიმურაზ I 1934: 011). მისი მოღვაწეობის მიხედვით შეგვიძლია ხელნაწერი XVIII ს-ის I მეოთხედს მივაკუთვნოთ. ვინაიდან ონანა ვახტანგ VI-სთან დაახლოებული პირი იყო, სავარაუდოა, რომ მას ხელთ ჰქონოდა სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული თეიმურაზის თხზულებათა დედანი და ამდენად ამ ხელნაწერს სხვებთან შედარებით რედაქციული უპირატესობა ენიჭება, თუმცა „ქეთევან დედოფლის წამება“ კრებულში არასრული სახითაა შემორჩენილი და 1934 წლის გამოცემასთან შედარებით აკლია 1-10; 51-60; 69-70 სტროფები (S ფონდის აღწერილობა 1959: 505-506). ტექსტი მოიცავს 1r-8r ფურცლებს.

S-1103 კრებული გადაწერილია 1780 წელს კალიგრაფ ონოფრეს მიერ. ქეთევანიანის ტექსტი სრულად არის დაცული 204-219 გვერდებზე (S ფონდის აღწერილობა 1959: 647).

S-1508 კრებულია, გადაწერილია მოსკოვში გიორგი ავალიშვილის მიერ, ქალაღზე არის 1786 წლის ქვირნიშანი, რომლითაც განსაზღვრულია ხელნაწერის გადამწერის თარიღიც. ტექსტი მოთავსებულია 212-230 გვერდებზე (S ფონდის აღწერილობა 1961: 245-246).

სეა 254 წარმოადგენს ნაკულ ხელნაწერს და 5 ფურცლი-  
თაა მოღწეული ჩვენამდე. ხელნაწერი დაზიანებულია და პოე-  
მის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი (ქართულ ხელნაწერთა  
კოლექციის აღწერილობა 1949: 220). შესულია 1-55 სტროფები,  
დანარჩენი აკლია. ხელნაწერი უთარიღოა, აღწერილობაში ის  
XVIII საუკუნითაა დათარიღებული.

ხელნაწერი სეა 290 არის კრებული, რომელშიც შესულია რო-  
გორც თეიმურაზ I-ის სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოები,  
ასევე სხვა ავტორებისა. „ქეთევანიანი“ მოთავსებულია 27v-32v.  
33r-ზე პოემა გრძელდება 91-ე სტროფიდან ბოლომდე, 86-90-ე  
სტროფები აკლია. ხელნაწერი აღწერილობაში დათარიღებულია  
XVIII საუკუნით, ხელის მიხედვით (ქართულ ხელნაწერთა კოლე-  
ქციის აღწერილობა 1949: 253). ხელნაწერში სათაურის წინ ჩარ-  
თულია შემდეგი ტექსტი: „სრულ იქმნა წიგნი ესე ძალითა ღ(მრ)  
თისათა პირველ აღმწერელისაგან ქკს ტნწ, თთვესა აგვისტოსა  
ია“. მინაწერი ცხადყოფს, რომ პოემა 1670 წლის 13 აგვის-  
ტოსაა გადანერილი და ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებს შორის  
უძველესია. ტექსტზე მუშაობისას დავრწმუნდით, რომ სეა 290  
სანდოობითაც გამოირჩევა, ყველაზე ახლოა დედანთან და მასში  
არაა ის შეცდომები, რომლებიც მომდევნო ნუსხებშია დაშვებული.

სეა 290, სეა 254 და S-1508 საერთო ნუსხიდან მომდი-  
ნარეობს, ასევე საერთო ნუსხიდან მომდინარე ჩანს S-1103  
და S-342.

ტექსტის დამუშავებისას ხელნაწერის სხვადასხვა ნუსხასთან  
ერთად მას ვადარებდით 1934 და 1975 წლის გამოცემებსაც.  
მეორე გამოცემა სიტყვა-სიტყვით მიჰყვება პირველ გამოცემას,  
ამიტომ იკითხვისებში გამოცემები ცალკე საერთო ლიტერთ  
აღვნიშნეთ და კითხვასხვაობანი, ტრადიციულად, სქოლიოში  
მივუთითეთ. კრიტიკული ტექსტის დადგენისას გამოყენებული

ხელნაწერები შემდეგი ლიტერებით აღინიშნება: სეა 290 – A, S-403 – B, S-342 – C, S-1103 – D, S-1508 – E, სეა 254 – F. ხოლო გამოცემები – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული (1934 წ.) და ქართული პოეზია, ტ. III (1975 წ.) საერთო ლიტერით – G.

ხელნაწერთა ნუსხებში გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების გამო გარკვეული ადგილები დამახინჯებულია, რაც ზოგ შემთხვევაში შინაარსს უცვლის ან აბუნდოვანებს ტექსტს. მაგ.: 36-ე სტროფი S-403, S-342, S-1103, S-1508, S-1203, S-2694, S-1511, სეა 254 ხელნაწერებში ასეთი შინაარსითაა წარმოდგენილი: „მაშინლა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა, / ბრძანა: „თუ რჯული დავაგდო, რას მიმუქვებენ დარესა, / **პაატას** ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა“. პაატაში, შესაძლოა, გვეგულისხმა იმ პერიოდის მოღვაწე, გიორგი სააკაძის ვაჟი, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობას შეეწირა, თუმცა წარმოდგენილ კონტექსტს სრულიად ეწინააღმდეგება მისი მოხსენიება და ფაქტობრივადაც გაუმართლებელია, რადგან იგი ტრაგიკულად აღესრულა ქეთევან დედოფლის მონამეობიდან ერთი წლის შემდეგ. ტექსტი მხოლოდ სეა 290-ში არის სწორი ფორმით წარმოდგენილი: „მაშინლა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა, / ბრძანა: „თუ რჯული დავაგდო, რას მიმუქვებენ დარესა, / **პატივსა** ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა“.

ასევე დამახინჯებულია ტექსტი 42-ე სტროფში. S-403, S-1508, S-2694, S-1151, სეა 254 და ალ. ბარამიძისეულ გამოცემაში აღნიშნული სტროფი წამოდგენილია შემდეგნაირად: „ვარ ჭემმარიტად მოსავი შენის უბინოდ **შობისა**, / შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა, / ანასებრივი ნაყოფი,

ვერამ სულდგმულმან შობისა / და ან შემინყალე მორნმუნე აღდგომისა და შობისა.“

სეა 290, S-342 და S-1103 ამ სტროფს შემდეგნაირად გვთავაზობს: „ვარ ჭეშმარიტად მოსავი შენის უბინოდ **მშობლისა**, / შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა, / ანასებრივი ნაყოფი, ვერამ სულდგმულმან შობისა / და ან შემინყალე მორნმუნე აღდგომისა და შობისა.“

ტექსტის დადგენისას ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ პირველ ვარიანტს, რადგან სტროფის შინაარსი ღმრთისმშობელს მიემართება, იგია მარადქალწული და ანას ნაყოფი. 42-ე სტროფის პირველ ტაეპში ავტორი ღმრთისმშობლის მიერ უფლის უბინოდ შობაზე საუბრობს და არა მარიამის უბინო მშობელზე.

გადამწერთა შეცდომის გამო ტექსტის შინაარსი გაურკვეველია 47-ე სტროფში. პოემის თანახმად, ქეთევან დედოფალმა წამებამდე ილოცა და ეზიარა: „რა ესე თქვა, შეემთხვია, ქ(რისტ)ეს **სისხლსა** ეზიარა“. ამის შესახებ მოგვითხრობს გრიგოლ დოდორქელიც და განგვიმარტავს, რომ ვინაიდან ქეთევანს უკვე აღარ ჰყავდა მოძღვარი, ამიტომ საგანგებო ჭურჭელში შენახული წმინდა ნაწილები მან საკუთარი ხელით ამოიღო და თავად ეზიარა. თვითზიარების ტრადიცია გავრცელებული იყო ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანაში და დედოფლის საქციელი უჩვეულოს არაფერს შეიცავდა. ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა ხელნაწერში (გამონაკლისია მხოლოდ სეა 290) შეცდომაა დაშვებული და საუბარია დედოფლის მიერ არა ქრისტეს სისხლის ზიარებაზე, არამედ ქრისტეს რჯულის ზიარებაზე. S-1508, S-342, S-1103, სეა 254 – „რა ესე თქვა, შეემთხვია, ქ(რისტ)ეს **სჯულსა** ეზიარა“. ცხადია, ქრისტეს რჯულს დედოფალი დაბადებისთანავე იყო ნაზიარები და წამების წინ ამ სცენის ჩასმა ყოვლად გაუმართლებელია. S-403 ხელნაწერში კი ასეთი ფორმუ-

ლირება: „რა ესე თქვა, შეემთხვია ქ(რისტ)ეს ჯვარსა, ეზიარა“. სავსებით ბუნებრივია, რომ ქრისტეს ჯვარს მთხვეოდა და ისე ზიარებულები, მაგრამ, ლოგიკური ქრისტეს სისხლის ზიარება და რადგანაც უძველეს ხელნაწერში სწორედ ეს ფორმაა გამოყენებული, ჩვენც უპირატესობა მას მივანიჭეთ.

ტექსტის იკითხვისებში არ აღვნიშნეთ ისეთი სხვაობანი, როგორებიცაა კ-ს, ჯ-ისა და მ-ს მონაცვლეობა, ან უ-ს და ვ-ს მონაცვლეობა.

თეიმურაზ I-ის პოემა 86 სტროფისგან შედგება. პოემას აქვს გაგრძელება 10 სტროფი, რომლებიც სხვა ავტორს ეკუთვნის, თუმცა მისი ვინაობა არ ვიცით. იმ ხელნაწერებში რომლებიც შეიცავენ ამ გაგრძელებას (S-1511, S-403, S-1508, სეა 290) პირდაპირაა ეს 10 სტროფი მიბმული ტექსტზე და მხოლოდ შინაარსობრივად ხერხდება გამიჯვნა. თეიმურაზის თხზულებების პირველ გამოცემაში პოემა შესულია გაგრძელებითურთ, ხოლო „ქართული პოეზიის“ გამოცემაში გაგრძელება აღარ არის შეტანილი. წინამდებარე გამოცემაში ჩვენც მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ პოემის გაგრძელების შეტანა და მისი კრიტიკული ტექსტის დადგენა. სავარაუდოა, რომ ბოლო 10 სტროფი თეიმურაზ I-ის თანამედროვის მიერ არის დაწერილი. პოემის შინაარსიდან ირკვევა, რომ თავად თეიმურაზი არ იყო წინააღმდეგი გაგრძელებების დაწერისა: „ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავი“.

თავად პოემაშიც არის არაავტორისეული ტექსტი ჩართული. S-1511-ში (1821-1823 წწ.), S-2694-ში (1835 წ.), S-1203-ში (1826 წ.), სეა 396-ში (1839 წ.) 72-ე სტროფის შემდეგ არის 3-სტროფიანი ჩანართი სათაურით „სულხან-საბა ორბელიანისაგან არის ნათქვამი“ (ავტორის მიუთითებლად მხოლოდ S-2694 ხელნაწერში არის ჩართული აღნიშნული სტროფები

პოემაში). სავარაუდოა, რომ სულხან-საბას ლექსი დამოუკიდებლად არსებობდა და პოემის გადამწერებმა შინაარსობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით ჩაურთეს დედოფლის წამების აღწერასთან ავტორის მითითებით (იშვიათი გამონაკლისის გარდა). წინამდებარე გამოცემაში სულხან-საბასეული ჩანართის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს მკითხველს შესავალ ნაწილში ვთავაზობთ. (სულხან-საბას ჩანართი გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ კითხვასხვაობების გარეშე, კეკელიძე 1981: 495 სქ. 1); კრიტიკული ტექსტის დადგენისას გამოყენებული ხელნაწერები შემდეგი ლიტერებით აღინიშნება: S-1511 (გვ. 669) – J, S-1203 (11 v) – L, S-2694 (გვ. 18-19) – M.)

„დედოფალი ვით შეამკვეს მათ უღმრთოთა<sup>1</sup> სჯულის<sup>2</sup> მტერთა სნატთა<sup>3</sup> ნაცულად<sup>4</sup> დაუფენდეს მიწათა და ცუდთა მტვერთა<sup>5</sup> სამკუთხს ლურსმანს ქვეშ უგებდენ ვით<sup>6</sup> ორხოვა,<sup>7</sup>

ვითა ტერთა,

და ხან სცემდენ<sup>8</sup> და ხან შეჰკვრიდენ,<sup>9</sup> ვითა ხელსა და ტეტერთა.

მოკაზმიდენ<sup>10</sup> შვენიერად შეუქმოდენ ფისსა<sup>11</sup> ზილფად

---

<sup>1</sup> LM უღმრთოთა

<sup>2</sup> J სჯულის

<sup>3</sup> G ნატთა

<sup>4</sup> J ნაცულად

<sup>5</sup> M მტერთა

<sup>6</sup> M ვითა

<sup>7</sup> JM ურხოვა

<sup>8</sup> J სცემდენ

<sup>9</sup> M შეჰკვრიდენ

<sup>10</sup> JM მოკაზმიდენ

<sup>11</sup> L ფისა

ცხელსა<sup>1</sup> შამფურს<sup>2</sup> ქინძის თავად, საოლაჲად<sup>3</sup> გინდა სკიჲად,  
ტანჯჳას სარკედ, ცემას მარგედ,<sup>4</sup> ნაცარს სურმად,  
და აგურს საპნად უსვამდიან<sup>5</sup> გასანმენდლად<sup>6</sup> კოსსა<sup>7</sup> ლიჲად,  
გაზსა ჩქიჲად,

ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად, საყურებად ნაკვერცხალსა,  
ყამჩად ბარსა<sup>8</sup>, საყბურად მხურვალესა<sup>9</sup> ნალს ახალსა,  
საჯს<sup>10</sup> ამბარჩად ყელსაბამად<sup>11</sup> მწარეს თოკსა<sup>12</sup> ვითა მხალსა,  
და ქამრად ჯაჭუსა<sup>13</sup> მოუჭერდენ, შანთს დასმიდენ<sup>14</sup> ვითა ხალსა.“

პოემა დანერილი უნდა იყოს 1625-1629 წწ. შორის.<sup>15</sup> ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ მარტყოფის აჯანყება (1625 წ. 25 მარტი) უკვე მომხდარია და თეიმურაზს ქართლ-კახეთის ტახტი უკავია: „მათ აწამეს წმინდა ესე სეკედმბერსა ათორმეტსა, / შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა,

---

<sup>1</sup> JM ცხელს

<sup>2</sup> JM შამფურსა

<sup>3</sup> M საოლაჲად, L სოლაჲად

<sup>4</sup> L მარგეთ

<sup>5</sup> JM უსვემდიან

<sup>6</sup> JM განსანმენდლად

<sup>7</sup> J კოსსა, L კოსა

<sup>8</sup> L ბარსაა

<sup>9</sup> L მხურვალეს

<sup>10</sup> L საჯ

<sup>11</sup> L ყელსაბამად

<sup>12</sup> L თოკს

<sup>13</sup> J ჯაჭუსა

<sup>14</sup> J დაჰსმიდენ

<sup>15</sup> ი. ტაბალუა მიიჩნევს, რომ თეიმურაზმა პოემა დანერა დედოფლის წამების თვითმხილველის – ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ დედოფლის აღსასრულის დეტალურად მოთხრობის შემდეგ. ამბროზიო დუშ ანჟუში საქართველოში ჩამოვიდა 1628 წლის 11 მაისს. (ტაბალუა 1986: 134, 139-140).

/ საქართველო აღებულა წელს ნაჭამი ათერთმეტსა, / და მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანსა ნათლის სვეტსა.“ რაც შეეხება 1629 წელს, 19 იანვარს გარდაიცვალა შაჰ აბასი. პოემაში თავად თეიმურაზი არ საუბრობს შაჰის გარდაცვალებაზე, ამას აღნიშნავს მხოლოდ გაგრძელების ავტორი. გაგრძელება თეიმურაზის სიცოცხლეში უნდა დაწერილიყო, პოემის შექმნიდან ახლო ხანებშივე.

ქართულ მწერლობაში „ქეთევან დედოფლის წამება“ ანუ „ქეთევანიანი“ არის პირველი ნიმუში ისტორიული პოემის ჟანრისა. ქართულ მწერლობაში, თეიმურაზ I-ს ეკუთვნის ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის შემოტანა და დამკვიდრება. „ქეთევანიანთან“ ერთად თეიმურაზ I-ს ამავე თემაზე ლირიკული ლექსები შეუქმნია: „თამარის სახე დავით გარეჯას“, „გრემის სასახლეზედ“, „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა“, „მაჯამას“ VIII თავი, მიძღვნილი ალექსანდრე იმერეთის მეფისადმი.

პოემა, რასაკვირველია, შეიცავს მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობებს, რომლებიც დედოფლის ტყვედ ყოფნას და მის მონამებრივ აღსასრულს უკავშირდება. თეიმურაზი, ცხადია, ვერ აცდებოდა პოემაში პირადი ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოხატვას საკუთარი დედის წამების მიმართ, ამასთან, საინტერესოა ავტორის, როგორც მეფის – ქვეყნის უმაღლესი იერარქის – დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი. თეიმურაზი შეურიგებელი მებრძოლი იყო ირანისა და შაჰ აბას I-ის წინააღმდეგ და მას შესაბამისი ეპითეტებით იხსენიებს: „მძლავრი უწყალო მეფე“, „ქრისტიანეთა მტანჯველი“, „უბრალოს სისხლთა მჩქეფელი“, „ეროდიას წილ მჯდომელი“, „არ ღმობიერი“ და ა. შ. რადიკალურად განსხვავებულია

მისი დამოკიდებულება იმამყული-ხან უნდილაძის<sup>1</sup> მიმართ. შაჰ აბასმა 1614 წელს მძევლად წაყვანილი ქეთევან დედოფალი და თეიმურაზ I-ის ვაჟები: ლევანი და ალექსანდრე შირაზის მმართველს იმამყული-ხანს მიაბარა. 1622 წელს თეიმურაზის მემკვიდრეები დაასაჭურისეს, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა – ალექსანდრე გარდაიცვალა, ხოლო ლევანი ჭკუიდან შეიშალა. 1624 წელს დედოფალი ქეთევანი უღმობელი სისასტიკით აწამეს. ამ ამბების აღმწერი ქართველი ავტორების დამოკიდებულება იმამყული-ხანისადმი არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს. მათი უმრავლესობა ფაქტების ფიქსაციით შემოიფარგლება, თუმცა იმამყული-ხანის ფიგურას დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ. ერთადერთი გამონაკლისი თეიმურაზია, ვინც იმამყული-ხანის მიმართ არათუ პოზიტიურადაა განწყობილი, არამედ ხოტბასაც კი ასხამს მას.

თეიმურაზი უაღრესად კეთილგანწყობილია შირაზის მმართველისადმი. პოემაში საგანგებოდ აღნიშნავს: „შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი, / მდაბალი, ტკბილი, მონყალე, აქებენ სულად ქვენანი. / **ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი,** / და სამს თვესა არ გაუცხადა, ამისი ჰქონდა ენანი“.

შუა საუკუნეების საქართველოში, როდესაც ისლამი და მისი მიმდევრები ცალსახად იდენტიფიცირდებოდა ჰეტეროხატთან, ხოლო მართლმადიდებლობის დაცვა გამოცხადებულია ეროვნული იერსახის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად, მით უფრო, მონამებრივად აღსრულებულ ქეთევან დედოფალთან

---

<sup>1</sup> იმამყული-ხანი შაჰ აბასის დიდმოხელე და უდიდესი გავლენის მქონე პიროვნება იყო. მას ევროპელები ირანის ვიცე-კოროლსაც ეძახდნენ. იმამყული-ხანი და მისი ძმა დაუდხანი (თეიმურაზ I-ის დის ქმარი) იყვნენ ალავერდი-ხან უნდილაძის (შაჰ აბას I-ის დიდმოხელე და რეფორმატორი) ვაჟები. ნარმოშობით ქართველები.

მიმართებაში, გასაოცარია თეიმურაზის მხრიდან იმამყული-ხანთან დაკავშირებით რელიგიური ასპექტის აქცენტირება – მისი გამოცხადება **ღვთისგან გამორჩეულად და ზეციურ ძალთაგან დაცულად**.

თეიმურაზი მის განსაზღვრულად ახალ ტიტულსაც კი ქმნის და ხალარ-ხანს უწოდებს, რაც ხანთა ხანს უნდა აღნიშნავდეს „ბეგლარბეგის“ ანუ „ბელიერბეგის“ – „ბეგთა ბეგის“ ანალოგიით (მდრ. მეფეთა მეფე, ფაშათა ფაშა და ა. შ.) (ჟორდანია 1984: 146).

თეიმურაზი, როდესაც არსებულ ვითარებას აღწერს, შაჰ აბასის მიერ ქეთევანის გამუსლიმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან მის წამებამდე, ყოველთვის ცდილობს იმამყული-ხანის პოზიციას გამართლება მოუპოვოს. პოემში ჩანს, რომ იმამყული-ხანი შეშფოთებულია შაჰ აბასის გადაწყვეტილებით: „იმამყული-ყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია, / მეტად გაჰკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია? / ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია, / და **თეიმურაზის** დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“. ცხადია, მოცემულ პერიოდში, შირაზის სახანოში მრავალ ქრისტიან ტყვეს სჯიდნენ წამებით, თვით ქეთევანის სულიერი მოძღვარიც კი დედოფლის წამებამდე 3 წლით ადრე სიკვდილით დასაჯეს. პიეტრო დელა ვალეს და ამბროზიო დუმ ანჟუშის ცნობით, სპარსელებმა იგი მიიჩნიეს ქეთევანის გამამტკიცებლად სარწმუნოებაში და ჩათვალეს, რომ მისი ჩამოშორებით შეძლებდნენ დედოფლის მოდრეკას, ამიტომ მღვდელს რალაც დანაშაული დააბრალებს, ჩანს გამაჰმადიანებაც შესთავაზეს და უარის მიღების შემდეგ დაწვეს (პიეტრო დელა ვალე 1879: 52; გულბენკიანი 1987: 30-31). ქეთევანს, მართალია, სხვა ტყვეებისგან განსხვავებით, აღმატებული მდგომარეობა უკავია – იგი კახეთის სამეფო ოჯახის წევრია, მაგრამ იმამყული-ხანისთვის

მნიშვნელოვანი არაა მისი იერარქიულობა. იგი ქეთევანის მოსალოდნელ ტრაგედიას პოლიტიკურ კონტექსტში არ განიხილავს, არც ის საზოგადო მოვლენები ანუხებს, რომლებიც შეიძლება ამ ტრაგედიას მოჰყვეს. ქეთევანი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზის დედაა და მისი შეძრწუნებაც მხოლოდ იმამყული-ხანისა და თეიმურაზის პიროვნული ურთიერთობებით იხსნება. შირაზის მმართველს ისიც კი უჭირს, რომ შაჰის გადაწყვეტილება ამცნოს დედოფალს და 3 თვის მანძილზე არ უმხელს არაფერს: „ვით უანბო, ვით შევეკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა, / **მე მინდოდა სამსახური, არ უძახდი განაბარსა,** / არ ვისმინო, რალა უყო ჴელმწიფისგან დანაბარსა? / და მოციქული გაუგზავნა, არ უვლიდეს მთას და ბარსა.“

იმამყული-ხანი როდესაც დარწმუნდა, რომ შაჰ-აბასი არ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას ქეთევანის გამაჰმადიანების თაობაზე, დედოფალს მოციქული მიუგზავნა და ამცნო შაჰის ბრძანება, ამასთან ურჩია, რომ გადარჩენის მიზნით ფორმალურად ელიარებინა ისლამი. „სჯული ეს არის, გვიჭირავს მაჰმადის დანაწესია, / შენცა მოიქეც, **გათათრდი, ვითამც არ უარესია,** / **სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია** / და იესო ქრისტე რას გიზამს, გინყრება შენა წესია.“ არაქელ დავრიჟეცი გვამცნობს, რომ იმამყული-ხანი თავად მივიდა დედოფალთან, რომ ემცნო შაჰის გადაწყვეტილება. იგი კარის უკან იდგა და ქეთევან დედოფალს ისე ესაუბრებოდა: „ხელმწიფის ბრძანებით გევალება გამაჰმადიანება. თუ თანახმა ხარ, მით უკეთესი: მაგრამ თუ თანახმა არა ხარ, ენით მაინც თქვი თანხმობა და შენი რჯული გულში დაიმარხე. ხალხის თვალში ისე დაიჭირე თავი, თითქოს ირწმუნე მაჰმადის საწმუნოება, ფარულად კი ემსახურე შენს რჯულს, რომ ჩვენც **ვიხსნათ თავი ცოდვისაგან, რომელიც შენგან მოგველის**“ (არაქელ დავრიჟეცი

1974: 42). იმამყული-ხანისთვის ქეთევან დედოფლის წამების ცოდვად ჩათვლა კვლავ ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ, პიროვნულ ურთიერთობებს კახეთის სამეფო ოჯახთან.

ქეთევანიანის ტექსტის მიხედვით, შაჰ აბასმა იმამყული-ხანს დაავალა ქეთევანის დასჯა. ამასვე ადასტურებს ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილიც. „რა შაჰ-აბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ-ხანსა, / შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა /“ ან თუკი „არა გმოს იესო ქრისტე – მიეცით დიდი სჯანია“. თეიმურაზის პოემაში ქეთევანთან საუბრის შემდეგ იმამყული-ხანის პერსონა აღარ ჩანს. პოემაში არც ისაა დაკონკრეტებული, ვინაა წამების ასეთი სასტიკი ფორმის ავტორი. ზ. ავალიშვილი სვამდა კითხვას, როგორ შეიძლებოდა თეიმურაზი მაინც ასე კეთილგანწყობილი ყოფილიყო იმამყული-ხანის მიმართ, მისმა „ჯალათებმა ბოლოს და ბოლოს გახურებული რკინებით და შაფურებით დედოფალს მუჰამმედის რჯულის უპირატესობა დაუმტკიცეს“ (ავალიშვილი 1938: 81). ცხადია, ბრძანება ქეთევანის დასჯის შესახებ შაჰ-აბასმა გასცა, დაუნდობელი სისასტიკეც მისი ბრძანებით უნდა შეესრულებინათ ჯალათებს. ამბროზიო დუშ ანჟუშის თანახმად, შაჰ-აბასმა გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა რუსეთის ელჩობის წინაშე თავის გამართლების მიზნით. ელჩები მას დედოფლის გათავისუფლებას სთხოვდნენ. შაჰმა სასწრაფოდ გაგზავნა 3 მეომარი, რომელთაც ქეთევანის წამების ფორმაც კი განუსაზღვრა. ისინი გზადაგზა იცვლიდნენ ცხენებს და 8 დღის სავალი გზა 6 დღეში დაფარეს. პირნათლად შეასრულეს შაჰის დანაბარები. მან კი „ჩვეული ცბიერებით დაარწმუნა მოსკოვის ელჩი, რომ დედოფალი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა“ (გულბენკიანი 1987: 36).

ქეთევან დედოფლის მონამეობრივად დასჯისას, როგორც გრიგოლ დოდორქელი გვამცნობს, იმამყული-ხანი გაეცალა ქა-

ლაქს, რათა არ ეხილა ეს საშინელება. „არა ვიხილავ საქმესა ამას უმსჯავროსა“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 29).

თეიმურაზის ასეთ კეთილგანწყობას იმამყული-ხანისადმი, ცხადია, თავისი საფუძვლები ჰქონდა.

თეიმურაზი იმამყული-ხანის ძმასთან – დაუდ-ხან უნდილაძესთან ნათესაურად იყო დაკავშირებული, მეფის და ცოლად ჰყავდა დაუდ-ხანს. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმამყული-ხანთანაც. 1626 წლის შემდეგ დაუდ-ხანის მეშვეობით თეიმურაზ I და შაჰ-აბასი შერიგდნენ. შაჰმა თეიმურაზი სცნო ქართლ-კახეთის მეფედ (არსებული ვითარება აღიარა). თეიმურაზის ინტერესებში ირანთან შერიგება გიორგი სააკაძის საფრთხის გამო არსებობდა. სააკაძე ამ დროს უკვე ოსმალეთში იყო გადახიზნული და მათი მხარდაჭერით აპირებდა თეიმურაზისთვის ტახტის წართმევას (ბერი ეგნატაშვილი 1959: 412; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 436).

ცნობილია, რომ თეიმურაზი ირანში ჩასულა, მაგრამ შაჰს ვერ თუ არ შეხვდა. იგი შირაზში იმამყული-ხანს სტუმრებია. იმ მეფლისსაც დასწრებია, რომელიც ინგლისის ელჩისთვის, დოდმორ კოტონისთვის, გაუმართავს იმამყული-ხანს 1628 წლის 22 მარტს (ავალიშვილი 1938: 86-87). თეიმურაზსა და იმამყული-ხანს შორის გარკვეული შეთანხმება არსებობდა. მათი სამომავლო გეგმები ითვალისწინებდა ანტიირანული პროექტის განხორციელებას ევროპელ მონარქებთან ერთად (ვრცლად იხ. კომენტარი 18). უნდილაძეების გავლენის ზრდა შემაშფოთებელი იყო შაჰ აბასის მემკვიდრისთვის. შაჰ სეფი 1629 წელს ავიდა ტახტზე. შაჰსა და უნდილაძეებს შორის დაპირისპირებამ სწორედ ამ დროს იჩინა თავი. უნდილაძეებს ტახტის სხვა კანდიდატურა ჰყავდათ. ეს გახლდათ შაჰ აბასის შვილი და იმამყული-ხანის შვილობილი სეფიყული-ხანი. თეიმურაზმა კა-

რგად იცოდა, რომ მისი პოზიციების გარანტი შაჰის სამეფო კარზე უნდილაძეები იყვნენ. მათთან ერთად ჩაერთო იგი შეთქმულებაში. არქანჯელო ლამბერტი 1633 წლის 12 თებერვლით დათარიღებულ რელაციაში აღნიშნავს, რომ უნდილაძეები „ან სიცოცხლეს გამოასალმებენ საკუთარ ხელმწიფეს და ტახტზე აიყვანენ განსვენებული ხელმწიფის ვაჟს და ამგვარად დაუდ-ხანი და მისი ძმა გახდებიან ირანის ბატონ-პატრონები, ანდა გაიმარჯვებს ხელმწიფე, გაანადგურებს მათ და ამავე დროს თეიმურაზსაც“ (ნატროშვილი 1983: 171).

შეთქმულება დამარცხდა. იმამყული-ხანი შვილებითურთ სიკვდილით დასაჯეს. ასევე დასაჯეს დაუდ-ხანის ოჯახის წევრები. მისი ერთ-ერთი ცოლი და ვაჟი შაჰთან მძევლად იმყოფებოდნენ. დაუდ-ხანი და მისი ოჯახის ნაწილი თეიმურაზ I-მა გორში გადაიყვანა, საიდანაც ისინი ოსმალეთში გაიხიზნენ. უნდილაძეთა განადგურებამ თეიმურაზის მოლოდინი გაამართლა. მან დაკარგა ქართლის ტახტი, რომელსაც როსტომ-ხანი დაეპატრონა. თეიმურაზმა დროებით შეინარჩუნა კახეთი, ხოლო 1648 წლიდან კახეთის სამეფოც როსტომ-ხანს დაუქვემდებარეს.

ქართულ წყაროებში არსებული პოზიტიური განწყობა იმამყული-ხანისადმი თეიმურაზის დამკვიდრებულია. თეიმურაზის პოემა ქართველი ავტორებისთვის პირველწყაროს წარმოადგენდა და, როგორც ცნობილია, დაწერილია 1625-1629 წლებს შორის. ჩვენ არ ვიცით, როდის დამყარდა თეიმურაზსა და იმამყული-ხანს შორის ახლო ურთიერთობა, სავარაუდოა, რომ მათ XVII საუკუნის 10-იანი წლებიდან, იმამყული-ხანის პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებიდან, უკვე ჰქონდათ კავშირი გაბმული. ეს არ გამოპარვია შაჰ აბასსაც. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ურთიერთობების გაფუჭების მიზნით, ჩააბარა შირაზის მმართველს თეიმურაზის დედა და შვილები, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

**ნამება და ნიბნი პატიოსნისა თეიშურაზის დედისა  
ქეთევანისა თქმული მეფისაგანვე ძისა მისისა თეი-  
შურაზისა.**

**სუფავითმცა ყოს უფალგან უკ(უნისამდე)**

1. ლ(მერ)თო ცისა და ქვეყნისა,<sup>1</sup> საბრუნავითა მაქცეო,  
ზე ამართულთა<sup>2</sup> ყოველთა დამცემო,<sup>3</sup> გარდამაქცეო,  
ზოგჯერ<sup>4</sup> ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელო,  
გარდამაქცეო,<sup>5</sup>  
და არამცა მიმცე სოფელსა, მტყუანია<sup>6</sup> და მაქცეო.
2. ფათერაკია<sup>7</sup> სოფლისა სიცოცხლე, თვალის ნამება,  
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს<sup>8</sup> ცილის ნამება,  
ფრფინვა ვისცა აქვს შვებითა, ბოლო<sup>9</sup> მისთვისცა<sup>10</sup> ნამება.  
და ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ<sup>11</sup>, ამაღ არ<sup>12</sup> მექმნას<sup>13</sup> ნამება.

---

<sup>1</sup> D ქვეყანის

<sup>2</sup> EDAF აღმართულთა

<sup>3</sup> A გამცემო

<sup>4</sup> EAF ამ წამს

<sup>5</sup> C გარდამაქცეო, D გარდამაქცეო

<sup>6</sup> EA მტყუანი არს

<sup>7</sup> D ფათერაკისა

<sup>8</sup> DC ჭირს

<sup>9</sup> EAF ბოლოდ

<sup>10</sup> EAF მასცა აქვს, D ვისთვისცა

<sup>11</sup> EA გავსინჯე

<sup>12</sup> EAF არა

<sup>13</sup> EAF მაქვს

3. თუ ვინ ცოდვილმან ჩემებრივ<sup>1</sup> თვალთ ცრემლი  
შეიწყნაროსა,  
უფროსად ღ(მერ)თი ადიდოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა,  
უხვებით მისცეს გლაზაკთა,<sup>2</sup> საუნჯე შეიწყნაროსა,  
და უკმოერიდოს<sup>3</sup> სოფელსა, არად<sup>4</sup> არ<sup>5</sup> შეიწყნაროსა.

4. ჭეშმარიტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯული<sup>6</sup> გაათასე,  
ჭრელად ენა შეურიე,<sup>7</sup> იგი გაყვენ დასად-დასე,  
ჭკვიანი და გონიერი ერთმანეთსა გააბასე,<sup>8</sup>  
და ჭმუნვით ქებას მით შეგასხამ, მეცნიერთა მწყობრთა დასე.

5. იესოვ<sup>9</sup>, შენ გევედრები, მარიამ, ქრისტეს დედაო,  
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია<sup>10</sup> – ამაზედაო,  
ფრიადნი<sup>11</sup> სევდა-ნალველი<sup>12</sup> დამერთო<sup>13</sup> ზედი-ზედაო,<sup>14</sup>  
და იმ<sup>15</sup> თქვენი<sup>16</sup> ღ(მრ)თის გულისათვის<sup>17</sup> მიშველეთ<sup>18</sup> ამაზედაო!

---

<sup>1</sup> EAF ჩემებრივ ცოდვილმან

<sup>2</sup> A გლაზაკსა

<sup>2</sup> EAF უკუ ერიდოს

<sup>4</sup> EA არათ, F არა

<sup>5</sup> F რათ

<sup>6</sup> DAF სჯული

<sup>7</sup> D შეურივე

<sup>8</sup> EA ჭკვიანი და გონიერი ერთმანეთ-  
სა გააბასე ჭრელად ენა შეურივენ,  
გაუყვენ და ასადასე. F ჭკვიანი და  
გონიერი ერთმანერთსა გააბასე, ჭრე-  
ლად ენა შეურიე, გაუყენე დასადასე

<sup>9</sup> EAF იესო

<sup>10</sup> D ილია, A ილიავ

<sup>11</sup> E ფრიადი

<sup>12</sup> DA ნალველნი

<sup>13</sup> E მამრთვიან, A მამართვიან

<sup>14</sup> A ზედ ზედაო

<sup>15</sup> D ამ

<sup>16</sup> CDF შენის, A თქვენის

<sup>17</sup> EAF სიყვარულსა

<sup>18</sup> CD მიშველე

6. ლ(მერ)თო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა, შენ განაწესე ყოველი გული<sup>1</sup> სიღრმითა<sup>2</sup> თმენითა,<sup>3</sup> მზის ქეთევანის<sup>4</sup> წამება, ვიცოდე<sup>5</sup> რა<sup>6</sup> საქმენითა,<sup>7</sup> და ღირსმყავ ცოდვილი მე<sup>8</sup> ესე, რომ მათქმევინო ენითა.

7. ეს ამბავი მისი არის, ვის უხმობენ დედოფლობით, **(1)** თავი მისი ქებით წერეს,<sup>9</sup> ოდეს იყო ხმელთა ფლობით, ანლა<sup>10</sup> ბოლო შემოკლდების, გავერივე მეცა ფლობით, და ლ(მერ)თო ჩემო, გვევდრები, მანერინო ხელ<sup>11</sup>-უფლობით.

8. ოდეს მიენდო<sup>12</sup> შაჰ-აბაზს<sup>13</sup> კახეთის დედოფალია, **(2)** ვით მარგალიტი<sup>14</sup> უსახო და უსასყიდლო თვალია, ადრითგან<sup>15</sup> ქებით შემკული, ნათქვამი<sup>16</sup> ბროლ-ფიქალია, და მისთანა არვინ შობილა არცა ყმა,<sup>17</sup> არცა ქალია. **(3)**

---

<sup>1</sup> EA გულის

<sup>2</sup> EAF სიღრმისა

<sup>3</sup> F თნევიტა

<sup>4</sup> ED ქეთეონის, A ქეთავანის

<sup>5</sup> A ვიცოდეთ

<sup>6</sup> E არცა, AF რაცა

<sup>7</sup> E სმენითა, AF სმენითა

<sup>8</sup> D -

<sup>9</sup> F სწერეს

<sup>10</sup> E ანაც, AF აწყა

<sup>11</sup> EA ჴელთ F ხელთ

<sup>12</sup> E სმიდენო

<sup>13</sup> D შაჰაბაზს, CA შააბაზს

<sup>14</sup> D მარგარიტი

<sup>15</sup> EDA ადრიდგან

<sup>16</sup> EA ნაქები

<sup>17</sup> A ყრმა

9. მან უძღვნა ძენი<sup>1</sup> ტურფანი ალექსანდრე და ლევანი, (4)  
კვლა<sup>2</sup> ძენი თავადებისა, მზეს მათგან ატყდეს ლევანი,  
რომ შეენყნარა<sup>3</sup> კახეთი, არ ექნა<sup>4</sup> მათზე<sup>5</sup> ძლევანი,  
და არ გაუგონა, ენადა მათი<sup>6</sup> სისხლისა ლევანი.

10. იგი ყველაი წაუხვა,<sup>7</sup> არ იყო მადლთა მძლეველი,  
განყრომით იყო დიადად, მოტკობას აღარ მოველი,  
ბრძანა შესხდომა,<sup>8</sup> აივსო, ლაშქრით მინდორი, ტყე-ველი,  
და გაუშვეს, ყოვლგნით დაფანტეს<sup>9</sup> მელაფე<sup>10</sup> და მრბეველი.

11. დაარბივეს, ამონყვისტეს, შექნეს ვითა განაქარი,  
შირაზ-შირვან-ხვარასნელი,<sup>11</sup> შიგ<sup>12</sup> ჩაუშვა მან<sup>13</sup> ლაშქარი,<sup>14</sup>  
სადაც ვინმე გარდებენა,<sup>15</sup> ან მოურჩა, მგონ, აქ არი,  
და სხვა დახოცა,<sup>16</sup> დაატყვევა,<sup>17</sup> წამოვიდა,<sup>18</sup> ვითა ქარი. (5)

---

<sup>1</sup> EDCF ძლენი

<sup>2</sup> F კულავ

<sup>3</sup> F შეენყალა

<sup>4</sup> DAF ექმნა

<sup>5</sup> EAF მათზედ

<sup>6</sup> A მათის

<sup>7</sup> GEAF წაუხვნა

<sup>8</sup> F შესხდომა

<sup>9</sup> E დაჰფანტეს

<sup>10</sup> E მიალაფე

<sup>11</sup> E ხვარასნელნი, A შარვან-ხვარას-  
ნელნი, F ხორასნელი

<sup>12</sup> F მან

<sup>13</sup> B მუნ, F შიგ

<sup>14</sup> A ლაშქარნი

<sup>15</sup> A გადებენა

<sup>16</sup> E დაჯოცა

<sup>17</sup> EA ამოსწყვიტა

<sup>18</sup> A ჩამოვიდა

12. ხელ<sup>1</sup>-შეპყრობილი დააგდო<sup>2</sup> იგ განჯას პატიმარია, (6)  
სადა ჰყვა<sup>3</sup> ხელმწიფე<sup>4</sup>-შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია,  
რომ მის მცველებზედ<sup>5</sup> ეხმარა თავისა<sup>6</sup> საკვეთარია?<sup>7</sup>  
და ბორკილიდაღმე<sup>8</sup> აეხსნა<sup>9</sup> იგ ყოვლთა საქებარია.

13. კვიპაროზისგან<sup>10</sup> უმაღლე<sup>11</sup> თავს ხედავს ამა ყოფითა,  
უნივთო ნივთსა შეეხო,<sup>12</sup> ნივთისა კიდე ყოფითა;  
მან ცრემლთა მომატყვებელი<sup>13</sup> საქმე ქნა<sup>14</sup> განაყოფითა,<sup>15</sup>  
და ვითა მეყვისსა<sup>16</sup> შეყროდეს,<sup>17</sup> არ<sup>18</sup> ხანი<sup>19</sup> დანაყოფითა.

14. არ დააჯერა ამასა მძლავრმან უწყალომ მეფემან,  
ქრისტიანეთა<sup>20</sup> მტანჯველმან<sup>21</sup> უბრალოს სისხლთა<sup>22</sup> მჩქეფელმან,<sup>23</sup>  
ეროდიას<sup>24</sup> ნილ მჯდომელმან, არ ლმოზიერმან სეფემან, (7)  
და მან არ შესცვალა<sup>25</sup> მცნებანი სურნელთა<sup>26</sup> მოიფემან.<sup>27</sup>

---

<sup>1</sup> E ჴელ

<sup>2</sup> CD დაუგდო

<sup>3</sup> CD ყვა

<sup>4</sup> E ჴელმწიფე

<sup>5</sup> C მცველზედა D მცველზედან

<sup>6</sup> EAF მათ თავი, B მას თავი

<sup>7</sup> BEF საფადარია, A სად აფარია

<sup>8</sup> EF ბორკილიდაღმე, A ბორკილიდმე

<sup>9</sup> F აიხსნა

<sup>10</sup> ED კვიპაროზისგან

<sup>11</sup> BEF უმაღლეს, A უმაღლესს

<sup>12</sup> E AF შეერთო; B შაერთო

<sup>13</sup> E მამატყვებელი, C მამტყვებელი D  
მომტყვებელი

<sup>14</sup> DA ქმნა

<sup>15</sup> BEF დანაყოფითა

<sup>16</sup> C მეყვისა, F მოყვისსა

<sup>17</sup> BEA შეპყროდეს, F შეპყროდა

<sup>18</sup> A არა

<sup>19</sup> B ხანის, A ხან

<sup>20</sup> A ქრისტიანეთა

<sup>21</sup> B მტანჯველმა

<sup>22</sup> EAF სისხლის

<sup>23</sup> ED მჩქეფემან

<sup>24</sup> E ჴეროდესა, D იჴროდიას

<sup>25</sup> EF შეცვალნა, BA შესცვალნა

<sup>26</sup> AG სურვილთა

<sup>27</sup> A მოიაფემან

15. რალას<sup>1</sup> ვაგრძელებ,<sup>2</sup> გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა, **(8)**  
ქაჯთა<sup>3</sup> უმაგრესსა<sup>4</sup> ციხესა ჩასმას<sup>5</sup> ვედრებდა<sup>6</sup> მზისასა,  
თვალთა სინათლის სანაცლოდ,<sup>7</sup> შვილებსა სჭვრეტდა<sup>8</sup> მისასა,<sup>9</sup>  
და ეგვიპტეს ყოფნა<sup>10</sup> არად<sup>11</sup> ჩნდა,<sup>12</sup> ზრდიდა ნაყოფსა ძისასა. **(9)**

16. არა საქმე არა ჰქონდა,<sup>13</sup> იგი ზარდა<sup>14</sup> ნელსა ხუთსა,  
მსახურებდის,<sup>15</sup> ვით სანუთრო ხელმწიფესა დანახუთსა  
მათის ჭვრეტით იბრუნევედის<sup>16</sup> სულსა ყელში დანახუთსა,  
და სხვას ნამალსა არ ეძებდის,<sup>17</sup> არ ფაზარსა<sup>18</sup> დანახუთსა.

17. ჳელმწიფისაგან შეესმა<sup>19</sup> ბრძანება უფრო წყრომითა:  
„აქა მომისხით<sup>20</sup> ორნივე, მან არ იხაროს რომ მითა.“ **(10)**  
ვარსკვლავნი უკუეყარნეს, მთვარე შეიქნა ცხრომითა,  
და უნდოდა თუმცა ეშოვნა გზა ქვესკენელ ჩასადრომითა.<sup>21</sup>

---

<sup>1</sup> A რალასა

<sup>2</sup> A ვარგი

<sup>3</sup> B ქაჯთა, F ქაჯეთს

<sup>4</sup> BF უმაგრეს

<sup>5</sup> A ჩასვლას

<sup>6</sup> BEAF ვედრებენ

<sup>7</sup> EAF სანაცლოდ

<sup>8</sup> BEA უჭვრეტს, F უჭუვრეტს

<sup>9</sup> A მზისასა

<sup>10</sup> DC ყოფა

<sup>11</sup> B არა

<sup>12</sup> BE სჩნდა, A სჩანს, F ჰსჩნდა

<sup>13</sup> C ქონდა

<sup>14</sup> EAF ზარდნა, B ზრდიდა

<sup>15</sup> A მსახურებდი

<sup>16</sup> EA იბრუნებდის

<sup>17</sup> EA ეძებდა

<sup>18</sup> E ზაფარსა, CD ფარეზსა

<sup>19</sup> B შაესმა

<sup>20</sup> A მამისხით

<sup>21</sup> BECF ჩანადრომითა

18. მე ვითა ვთქვა<sup>1</sup> უებრომან<sup>2</sup> მონადენტა ცრემლთა ხრანი, პირსა ხოკით,<sup>3</sup> ლანვთა გლეჯით, იქით-აქეთ<sup>4</sup> ხელთა ხრანი, გულსა სევდა შემოანვის, ამოკვენსით აოხრანი, და იტყვის: „ლ(მერ)თო, ეს რა მიყავ, მომივლინე ან, ახ, რანი?!“

19. ორთა საფლავთა დასძახდა,<sup>5</sup> მიუჯდა<sup>6</sup> ცრემლით ახავი: **(11)** „არ გებრალეები, ხვარამზე, გამდელი, ამ დღის მნახავი? მიწყევ ცრემლ-შეუშრობელი, ჭირსა ჭირზედა<sup>7</sup> მსახავი, და ამ სოფლისაგან გარჯილი, ნიადაგ მისი მძრახავი.<sup>8</sup>

20. ვა, თქვენ იყვენით<sup>9</sup> აქამდის ჩემნი<sup>10</sup> გულისა მდებელნი, ნახვედით, მარტო დამაგდეთ, სულ<sup>11</sup> ქვეყნის ცეცხლთა<sup>12</sup> მდებელნი, თვალთა წამართვით<sup>13</sup> სინათლე, დაბნელდეს ცა<sup>14</sup> დამდებელნი<sup>15</sup> და არ დარჩა სოფლის სასჯელი<sup>16</sup> ჩემზედა<sup>17</sup> მოუდებელნი.

---

<sup>1</sup> BD ვსთქვა

<sup>2</sup> G უებრომა, BECAF უებრობა

<sup>3</sup> D ხოკით, F ხოჭით

<sup>4</sup> D აქათ

<sup>5</sup> B დასძახის

<sup>6</sup> A მიუხდა

<sup>7</sup> B ჭირზედან, A ჭირზედ ჭირისა

<sup>8</sup> CD მზრახავი

<sup>9</sup> B იყვეთ, A იყავით

<sup>10</sup> GECDAF ჩემის

<sup>11</sup> EA სრულ

<sup>12</sup> E ცრემლთა

<sup>13</sup> GECDAF წამართვეს

<sup>14</sup> CDF ბადა, A მადა მდებელნი

<sup>15</sup> E ბადამდებელნი

<sup>16</sup> EA სარჯელნი, F სასჯელნი

<sup>17</sup> BEF ჩემზედან

21. ახ, ნაეხე,<sup>1</sup> ახ,<sup>2</sup> დავიკარგე, პირსა სად მოველ<sup>3</sup> ზღვისასა, აჰა,<sup>4</sup> ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა<sup>5</sup> მას უფსკრულისასა, სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ, სხვისასა, და ვა, ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭვრეტსა ლევანისასა.<sup>6</sup>

22. მას<sup>7</sup> უკანით<sup>8</sup> აღარ უნდა<sup>9</sup> მთვარისა და მზისა ნახვა, ხელთა ჰქონდა<sup>10</sup> გაუნყვეტლად<sup>11</sup> ტირილი და მუდამ ახვა, ილოცვიდა <sup>12</sup> იმარხვიდა, მოიჭირვა სჯულის<sup>13</sup> ნახვა, და ღვანლი გარე მოიზლუდა, ეშმაკისა არ ჰყო<sup>14</sup> ზრახვა. (12)

23. რაჟამს შეიქნა უმანკო მუშაკი სათნოებისა, ნესტვსა ეყნოსა დუმილით საზომი სინოფოებისა, სვინდისი<sup>15</sup> თვისი<sup>16</sup> განწმინდა,<sup>17</sup> კდემა არ ეპოებისა, და ამად<sup>18</sup> ამ წიგნსა სახელად ემპლასტროს<sup>19</sup> ეწოდებისა.

---

<sup>1</sup> B ნაეჰე

<sup>2</sup> G ან

<sup>3</sup> D სად მოველ პირსა

<sup>4</sup> DCვაი

<sup>5</sup> B უყესა

<sup>6</sup> E ლეონისასა

<sup>7</sup> ECDA მათ, F ამათ

<sup>8</sup> CDA უკანის, F უკან

<sup>9</sup> EGCDAF უნდის

<sup>10</sup> EGA ჰქონდის, CD ქონდის

<sup>11</sup> E გაუნყვეტლად

<sup>12</sup> B იგი ლოცვით

<sup>13</sup> GCF რჯულის

<sup>14</sup> C ყო

<sup>15</sup> A სინდისი

<sup>16</sup> B მან სვინდისი

<sup>17</sup> CD განწმინდა, F განსწმიდა

<sup>18</sup> F ამოდ

<sup>19</sup> B ეპკლატრონ, E ემპლასტრო, CD

ემპლატოზ, A ემპლასტრო სახელად

24. დღე და ღამე გაასწორის, ლოცვა ჰქონდის,<sup>1</sup>

წიგნის კითხვა, **(13)**

ევედრება<sup>2</sup> შემოქმედსა,<sup>3</sup> უნდა მისგან განაკითხვა,

არ შესცვალის სჯული მისი, მოიგონის განაკითხვა,<sup>4</sup>

და შვილთ ამბავი<sup>5</sup> ენატრება<sup>6</sup>, არა უნდა<sup>7</sup> მას<sup>8</sup> სხვა კითხვა.

25. „სამას სამოც და ხუთი დღე რა ერთად<sup>9</sup> შეიყაროსა,

საყვირთა ისმას<sup>10</sup> მაშინ ხმა, სამკვდრეთი<sup>11</sup> აიყაროსა, **(14)**

სული ყოველი<sup>12</sup> იქ შეკრბეს, სოფელმან გაიყაროსა,

და სულსა რას ვაქნევ, თუ შვილსა მაშინც ვერ შეეყაროსა.<sup>13</sup>

26. ზი მე, რა<sup>14</sup> ცუდათ<sup>15</sup> დამაშრო ზრუნვამან ამ სოფლისამან,

ზი მე, რაღა<sup>16</sup> ვჰქენა<sup>17</sup> გარჯილმან, ნატრულმან სამოთხისამან,

ზი<sup>18</sup> ჯოჯოხეთის მლოდნელმან,<sup>19</sup> შიშმან და ზარმან მისამან,

და ზი მე, რათა<sup>20</sup> მაქვს იმედი, რომ გამოიმხსნას ისამან?

---

<sup>1</sup> CD ქონდის

<sup>2</sup> GEDCAF ევედრების

<sup>3</sup> F ლ(მრ)თისმშობელსა

<sup>4</sup> G განაკითხ, ვა

<sup>5</sup> E ანბავი

<sup>6</sup> GEAF ენატრების

<sup>7</sup> EA უნდის

<sup>8</sup> B მუნ

<sup>9</sup> GCD ერთ დღედ

<sup>10</sup> BA ისმის

<sup>11</sup> A სამკუდრეთი

<sup>12</sup> GF ყოველთა, EA ყველაი CD ყოველთა

<sup>13</sup> B სულსა რას აქნევ სათქმელად, შვილსა ვერ შეეყაროსა

<sup>14</sup> A \_

<sup>15</sup> F ცუდად

<sup>16</sup> DA რა

<sup>17</sup> GBAF ვენა D ვქმნა

<sup>18</sup> FA ოჰ

<sup>19</sup> F მლოდნემან

<sup>20</sup> GEF რითა, D რით

27. კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა, კერპობა, ზაკვა, მრუშება, სიძვანი მისთანაც არ სა? კვლავ სარეცელსა აღტობდეს,<sup>1</sup> მოზელდეს მითა<sup>2</sup> ნაცარსა,<sup>3</sup> და კრულია მნიკელის<sup>4</sup> მოყვარე, ვერა<sup>5</sup> იქს მისთა ნაცვალსა.“<sup>6</sup>

28. მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელნი, სიბრწყინვალე და სინათლე,<sup>7</sup> აღარა ჰქონდა<sup>8</sup> ნათელნი, ბაგე და კბილნი<sup>9</sup> მოშლოდეს, ძონ-მარგალიტთა ნათალნი,<sup>10</sup> და აწყა<sup>11</sup> ისმინეთ სხვაცა ვსთქვა<sup>12</sup> ხელმწიფის შემონათვალნი.

29. რა შაჰ აბაზ<sup>13</sup> შეუთვალა შირაზისა ხალარ-ხანსა,<sup>14</sup> **(15)** „შენ ქეთევან<sup>15</sup> დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა, ვირ არ შევსვამ სისხლსა მისსა,<sup>16</sup> არ ავიღებ დასტახანსა, და წელნი<sup>17</sup> ათად გავათავე,<sup>18</sup> მოვიგონებ ხანდახანსა.“<sup>19</sup>

<sup>1</sup> A აღტობდის

<sup>2</sup> B მისთა

<sup>3</sup> A მოზელდის მის თანცა არსა

<sup>4</sup> A მნიკელის

<sup>5</sup> CD ვაი რა

<sup>6</sup> A კრულია მნიკელის მოყვარე, ვაი რა ძნელიცა არსა, F ეს სტროფი სამი სტრიქონითაა წარმოდგენილი, ხოლო III და IV სტრიქონებს შორის ბაცი მელნით ჩამატებულია სხვა ფრაზა.

„კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა

კვლავ სარეცელსა აღტობდეს, მოზელდეს მითა ნაცარსა,

იგ სტიროდეს და სულთქმევდეს, მოელოდეს მისს ნაცვალსა

და კრულია მნიკელის მოყვარე, ვა, რა იქს მისთანაც თვალსა“

<sup>7</sup> B შევენება

<sup>8</sup> GEAF ჰქონდეს, C ქონდეს

<sup>9</sup> CA კბილი

<sup>10</sup> GBF ნათელნი, C ნათელი

<sup>11</sup> GA აწლა

<sup>12</sup> GEC ვთქვა

<sup>13</sup> CA შააბაზ

<sup>14</sup> EF ხანლარხანსა A ხარა ხანსა

<sup>15</sup> BDA ქეთევან, E ქეთონ

<sup>16</sup> A მისსა სისხლსა.

<sup>17</sup> EA წელი, GCD წელსა, F წელს

<sup>18</sup> EGCDAF გავათავებ

<sup>19</sup> EGCDF ხანდისხანსა

30. თუ მუსურმანი შეიქნას<sup>1</sup> ეგე ლალი და ჯანია, მაჰმადის<sup>2</sup> რჯულზედ<sup>3</sup> მოიქცეს, აზრაველს<sup>4</sup> მისცეს ჯანია, მე მურთუზალი მიფიცავს, არ უყო ისკანჯანია,<sup>5</sup> და არა გმოს<sup>6</sup> იესო ქრისტე – მიეცით დიდი რჯანია“<sup>7</sup> **(16)**

31. იმამულ-ყული-ხანს<sup>8</sup> რა ესმა საქმენი საზარონია, მეტად გაჰკვირდა,<sup>9</sup> ესე თქვა: „მისი რა საკადრონია?“<sup>10</sup> ვიცი, რომ არ გათათრდება<sup>11</sup>, თუცა<sup>12</sup> არა აქვს დრონია, **(17)** და თემურაზ ხანის<sup>13</sup> დედასა<sup>14</sup> ვით<sup>15</sup> ვკადრო უკადრონია?“

32. შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა<sup>16</sup> ენანი, მდაბალი, ტკბილი, მონყალე, აქებენ სულად<sup>17</sup> ქვენანი. **(18)** ღირსეულია ღ(მრ)თისაგან<sup>18</sup>, მით<sup>19</sup> იცავს<sup>20</sup> ძალთა ზენანი, და სამს თვესა<sup>21</sup> არ გაუცხადა, ამისი ჰქონდა<sup>22</sup> ჰენანი<sup>23</sup>.

---

<sup>1</sup> GC შეიქნეს

<sup>2</sup> A მაჰადის

<sup>3</sup> DF სჯულზედ

<sup>4</sup> E არზაველს CD აზარელს, A აზრაველს, F აზრაილს

<sup>5</sup> F ის ჯაჯანია

<sup>6</sup> E ჰგმოს

<sup>7</sup> D სჯანია

<sup>8</sup> FA იმანყული-ხანს

<sup>9</sup> GDC გაკვირდა, A განკვირდა

<sup>10</sup> D საზარონია

<sup>11</sup> EGCDAF გათათრდების

<sup>12</sup> B იგი, A თუმცა

<sup>13</sup> EA თემურაზ-ხანის, GCD თემურაზის

<sup>14</sup> A დედას

<sup>15</sup> A ვითა

<sup>16</sup> F კაცთა

<sup>17</sup> F სრულად

<sup>18</sup> B პატივისა

<sup>19</sup> GDC მითა

<sup>20</sup> GDC სცავს

<sup>21</sup> A თთუცსა

<sup>22</sup> CD ქონდა

<sup>23</sup> გამოცემაში F ჩენანი, DC ენანი, A ჰენვანი

33. ვით უამბო,<sup>1</sup> ვით შევკადრო<sup>2</sup> ტყვესა ჩემსა ანაბარსა, მე მინდოდა მემსახურა<sup>3</sup>, არ უძახდი<sup>4</sup> განაბარსა, არ ვისმინო, რალა<sup>5</sup> უყო ხელმწიფისგან<sup>6</sup> დანაბარსა? და მოციქული გაუგზავნა,<sup>7</sup> არ უვლიდეს მთა<sup>8</sup> და ბარსა.

34. უბრძანა, თუ: „იახელით<sup>9</sup>, მოახსენეთ მზისა პირსა, არ იქნების<sup>10</sup> თუ არ გიზამთ ხელმწიფისა<sup>11</sup> დანაპირსა, ნუ გძულს რჯული<sup>12</sup> მაჰმადისა,<sup>13</sup> იგი მოგცემს ენა-პირსა, და მორევებიგან ჩანაჭრილი<sup>14</sup>, გაგიყვანოს შენ ნაპირსა<sup>15</sup>.

35. რჯული<sup>16</sup> ეს არის, გვიჭირავს მაჰმადის დანანესია, შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამ<sup>17</sup> არ უარესია, იესო ქრისტე რას გიზამს, გინყრება<sup>18</sup> შენ<sup>19</sup> ან<sup>20</sup> ესია, და სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია.<sup>21</sup> (19)

---

<sup>1</sup> DA უამბო

<sup>2</sup> B შევმართო, E შევკადრო

<sup>3</sup> GCDF სამსახური, A მემსახურნა

<sup>4</sup> B უზემდი, F უძახი

<sup>5</sup> F რა

<sup>6</sup> A ჯელმწიფისა

<sup>7</sup> A გაუგზავნეს

<sup>8</sup> GCD მთას

<sup>9</sup> EC იახელენით, A იახლენით

<sup>10</sup> A იქნება

<sup>11</sup> EA ჯელმწიფისგან

<sup>12</sup> EDA სჯული

<sup>13</sup> C მაჰმადისა

<sup>14</sup> GCD ჩანაჭერი

<sup>15</sup> B შენაპირსა

<sup>16</sup> F სჯული

<sup>17</sup> GD ვითამც

<sup>18</sup> EAF გინყრების

<sup>19</sup> F ან

<sup>20</sup> F შენ

<sup>21</sup> DC სატანჯველს ნურას იკადრებ არ არის შენი წესია, იესო ქრისტე რას გიზამს, გინყრება შენა წესია.

36. მაშინლა შეერთა,<sup>1</sup> რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა, ბრძანა: „თუ რჯული<sup>2</sup> დავაგდო, რას მიმუქფებენ<sup>3</sup> დარესა,<sup>4</sup> პატივსა<sup>5</sup> ვინმე მიჩვენებს, ხმელზე<sup>6</sup> სწორ უპოვარესა, და ან ვინმე ჩემსა სამკვიდროს მიმიშვებს, მიმაკარებსა?“ (20)

37. ილოცავს: „ღ(მერ)თო, შენ გიცნობ უცნაურ, უხილველსაო, სასწაულებსა, ნიშებსა ვერ ვიტყვი საკვირველსაო; ჰე, ბრძანებითა შენითა შესძრავ კლდესა<sup>7</sup> და ველსაო, და შეარყევ სრულად<sup>8</sup> ხმელეთსა, არ შესცვლი<sup>9</sup> საფუძველსაო.“

38. „გვედრები სამებასა, ერთარსსა და თანაარსსა, შენგან კიდე საესავი არა ვიცი სხვა რა არსა, სული ჩემი შეივედრე, ხორცი<sup>10</sup> უწყი<sup>11</sup> სადა არსა, და ან ჩგაბრიელ მომივლინე, სულთა მცველი, განა არსა! (21)

39. „ძლიერო, გილაღადებენ ორღანოთა და ებნითა, ბრძენითა<sup>12</sup> ინდოურიითა,<sup>13</sup> სიტყვითა ბერძულენითა,<sup>14</sup> ძლევით გაქებენ ქადაგნი,<sup>15</sup> რომელ ებრაელენითა,<sup>16</sup> და ძალგიც<sup>17</sup> შენ ათას სახელი,<sup>18</sup> მით<sup>19</sup> არ<sup>20</sup> გაგივა ქებითა!

<sup>1</sup> EA შეჰერთა

<sup>2</sup> EDF სჯული

<sup>3</sup> B მიმუქებენ A მიმუქმებენ

<sup>4</sup> B ბარესა

<sup>5</sup> CDEBF პაატას

<sup>6</sup> AF ზმელზედ

<sup>7</sup> GCD კლდეთა

<sup>8</sup> E სულეზ, A სრულეზ

<sup>9</sup> CD შესძრავ

<sup>10</sup> EA ჯორცნი

<sup>11</sup> F ვიცი

<sup>12</sup> G ძნობითა, CD ძნელითა, F მნობითა

<sup>13</sup> GEC ინდაურიითა ,

<sup>14</sup> GEC ბერძულენითა, D ბერძულენითა

<sup>15</sup> A ქადაგანი

<sup>16</sup> B ებრაელენითა

<sup>17</sup> E ძალგიცს

<sup>18</sup> E საწელსა CD AF სახელსა

<sup>19</sup> EGCD შენ

<sup>20</sup> EGCD რა

40. „უცხოოდ რამ შევშინებულვარ<sup>1</sup> მძლავრთა

ჰაერის მცველთაგან, **(22)**

ჩემისა აღსასრულისა<sup>2</sup> ძნელისა<sup>3</sup> სატანჯველთაგან,<sup>4</sup>

ჰე,<sup>5</sup> ჩგაბრიელო,<sup>6</sup> მიქელო,<sup>7</sup> ნუ განმიშორებ ხელთაგან,

და ნამებულნო და წმიდანო,<sup>8</sup> გამომიხსენით<sup>9</sup> ბნელთაგან.“

41. „ჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,

ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავს მარჯვენით

დგომასა.

იოანე<sup>10</sup> ნათლისმცემელსა<sup>11</sup> ან მიმაბარე თომასა, **(23)**

და დედაო მაცხოვრისაო, მიმწიე<sup>12</sup> ჩემსა ნდომასა.“

42. „ვარ ჭეშმარიტად მოსავი შენის<sup>13</sup> უბიწოდ შობისა,<sup>14</sup>

შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად<sup>15</sup> შობისა,

ანასებრივი<sup>16</sup> ნაყოფი, ვერამ სულდგმულმან<sup>17</sup> შობისა **(24)**

და ან შემინყალე მორწმუნე აღდგომისა და შობისა.“

---

<sup>1</sup> AF შეშინებულვარ

<sup>2</sup> B აღსასრულთაგან

<sup>3</sup> F ბნელისა

<sup>4</sup> A ჩემისა სატანჯველისა,  
აღსასრულისა ძნელთაგან

<sup>5</sup> CGD ეჰა, A მიხაილ

<sup>6</sup> GCD გაბრიელ A ერის

<sup>7</sup> GECD A მთავარო

<sup>8</sup> BCGD წმიდანო

<sup>9</sup> GC გამამიხსენით

<sup>10</sup> GCF იოვანე, BD იონე

<sup>11</sup> GAF ნათლისმცემელს, B ნათელსა

<sup>12</sup> AF მიმწიე

<sup>13</sup> D შენი

<sup>14</sup> GBEF შობისა

<sup>15</sup> F ქრისტეს

<sup>16</sup> BEF ანასებრივი, D ანსაებრი

<sup>17</sup> A სულდგმულმა

43. „წამს ღმერთო, ყოვლმან სულდგმულმან ცოდვა  
შენ აღგიაროსა,  
აღსარებითა გადიდებ, მართ დაგივიწყებ აროსა,<sup>1</sup>  
რაჟამს განეხვნენ<sup>2</sup> წერილნი, აღარა დაგეფაროსა,  
და მაშინ მომხედენ<sup>3</sup> წყალობით, რა<sup>4</sup> შიშით დაგეფაროსა.“

44. „ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლების ენითა,  
ჩქერით<sup>5</sup> არ შესწორდებიან<sup>6</sup> მდინარე, არცა დენითა,<sup>7</sup>  
ჩემს მეტს<sup>8</sup> მოსავსა ნუ უყოს, მე ვარ რასაცა<sup>9</sup> სენითა.<sup>10</sup>  
და ჩემი განკურნე<sup>11</sup> წყლულება, უფალო მიხსენ ღმერთო.“

45. „აქამდის სოფლის ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მეკარსა,  
ან ტვირთი<sup>12</sup> შენი მსუბუქ<sup>13</sup> არს, სმენაცა შენი მეკარსა,  
სარწმუნოებით<sup>14</sup> ვეძიებ, პეტრევე,<sup>15</sup> სამოთხის მე კარსა,  
და რომე წყალობით გამიღო<sup>16</sup>, ამისთვის ვირეკ მე კარსა“. (25)

---

<sup>1</sup> F აროსა

<sup>2</sup> DCA განახვნენ

<sup>3</sup> GDC მომხედე

<sup>4</sup> F რაც

<sup>5</sup> GBCDAF ჩქერითა

<sup>6</sup> GCD შესწორდება, BAF შესწორების

<sup>7</sup> A ენითა

<sup>8</sup> E მეტს, C გმეტს

<sup>9</sup> EA რისაცა, CD რითაცა

<sup>10</sup> CD წყენითა

<sup>11</sup> EA განკურნე D განკურნე ჩემი

<sup>12</sup> C ტვირთი

<sup>13</sup> G სუბუქ, CF სუბუქ

<sup>14</sup> B სარწმუნოებით

<sup>15</sup> B პეტრე, E პეტრეს

<sup>16</sup> BA გამიღოს, E განმიღოს, DC შე-  
მინდო

46. „რადგან მომკლა<sup>1</sup> უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა, სასწაული მოავლინე<sup>2</sup> ქრისტიანეთ<sup>3</sup> ტყვეთა<sup>4</sup> ზედა, შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც<sup>5</sup> მტერთა<sup>6</sup> ზედა, და ღვანლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა<sup>7</sup> ზედა“.

47. რა ესე თქვა,<sup>8</sup> შეემთხვია,<sup>9</sup> ქ(რისტ)ეს სისხლსა<sup>10</sup> ეზიარა: **(26)**  
„მეუფეო, გათათრება ჩემი იყო წესი არა,  
გვედრები სული ჩემი ეშმაკს მისცე, ესე<sup>11</sup> არა“.  
და პირსა ჯვარი დაისახა, გავიდა, თქვა მეტი არა.

48. მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი<sup>12</sup> და გმირია,  
ყოვლ<sup>13</sup> არად<sup>14</sup> უჩნდა<sup>15</sup> სასჯელი, თუმცა<sup>16</sup> დიადი<sup>17</sup> ჭირია,  
ბრძანა: „მოვიდნენ,<sup>18</sup> მტარვალნი<sup>19</sup> მათცა<sup>20</sup> ყონ<sup>21</sup> ერთი პირია,  
და რომ ჩემი სისხლი იძებნოს, ლ(მრ)თის წინა ამას ვსტირია.“<sup>22</sup>

---

<sup>1</sup> BE მამკლა

<sup>2</sup> A მოივლინა

<sup>3</sup> CD ქრისტიანეს, A ქრისტიანეთ

<sup>4</sup> D ტყვესა, F ჳელთა

<sup>5</sup> C თეიმურაზს გაუმარჯვე მტერთა  
ზედა

<sup>6</sup> GCD მტერსა

<sup>7</sup> F ტახტთა

<sup>8</sup> A თქუა

<sup>9</sup> F რა რომ ესე შეემთხვია

<sup>10</sup> DFEC რჯულსა, B ჯვარსა.

<sup>11</sup> D ესი

<sup>12</sup> E ვეფხვი

<sup>13</sup> DC ყოლა, EBG ყოლ

<sup>14</sup> DC არ, F არადა

<sup>15</sup> EA უჩანს, F ჳსჩანს

<sup>16</sup> DC თუცა, A თუმცადა

<sup>17</sup> DCG არს დიდი, A დიდი

<sup>18</sup> EGDCA მოვიდენ

<sup>19</sup> EAF მოსრულნი, B მოსრულთა

<sup>20</sup> GC მათცა, E მათც

<sup>21</sup> GA ჳყონ E უყონ

<sup>22</sup> GE ვტირია

49. მაშინ შევიდეს<sup>1</sup> მტარვალნი დედოფლის დანაბარები, მოიღეს ქალფათინები,<sup>2</sup> შამფურები<sup>3</sup> და ბარები, ვა,<sup>4</sup> მაშინდელი<sup>5</sup> სასჯელი,<sup>6</sup> ვითა ვსთქვა,<sup>7</sup> საუბარები<sup>8</sup> და ხორცი<sup>9</sup> ცეცხლს<sup>10</sup> მისცა,<sup>11</sup> სული აქვს ანგელოზთ მინაბარები.

50. პირველად ცეცხლი დააგზნეს, მას შიგან<sup>12</sup> ჩადვეს<sup>13</sup> რკინანი,<sup>14</sup> მაშინ რაცალა<sup>15</sup> მოეხვნეს სანველნი სისხლთა მდინანი,<sup>16</sup> უთხრეს, თუ „რჯულზედ<sup>17</sup> მოიქეც, დააგდე იგი წინანი, და თვარე<sup>18</sup> სასჯელი ეს არის, რა ნახო, შენცა ინანი“.

51. რა ეს ნახეს,<sup>19</sup> აუტირდეს ხელი<sup>20</sup> ერთად<sup>21</sup> მოახლენი, ყველა ფერხთა ეხვეოდა, პირსა ხელით<sup>22</sup> მოახლენი: „ნუ გასწირე თავი კარგი, ჯერ უებრო, მოახლენი, და ნუ გაგვყარე მზისა შუქსა,<sup>23</sup> ბნელს ნუ ჩაგვსხი მოახლენი!“

---

<sup>1</sup> GCD მივიდენ მაშინ, B შევიდნეს

<sup>2</sup> A ქალბათინები

<sup>3</sup> C შანფურები

<sup>4</sup> A ვაპ, F ვაი

<sup>5</sup> EA მაშინდელნი

<sup>6</sup> E სარჯელი

<sup>7</sup> GC ვთქვა

<sup>8</sup> EA მიაბარები, C მინაბარები, F მე აბარები

<sup>9</sup> EA ჯორცნი

<sup>10</sup> GC ცეცხლთ

<sup>11</sup> A მისცნა

<sup>12</sup> B მაშიგან, GC მაშიგ, D შიგ

<sup>13</sup> GDC ჩაყარეს, A ჩასდვეს

<sup>14</sup> C კინანი

<sup>15</sup> G რალაცა

<sup>16</sup> E რაცა გაეხვნეს სანველნი: ლურსმანნი, რაცა რკინანი, C რაცა მოეხვნეს სანველნი: ლურსმარი, ანუ რკინანი, D რაცა მოეხვნეს სანველნი: ლურსმანი ანუ რკინანი; A რაცა მოეხვნეს სანველნი, ლურსმანნი რაცა ვინანი, F რაცა მოეხვნეს სანველნი, ლურსმანნი რაცა რკინანი

<sup>17</sup> DF სჯულზედ

<sup>18</sup> D თვარა

<sup>19</sup> G ნახენ

<sup>20</sup> A ჯელ

<sup>21</sup> DF ერთპირ, A ერთპირად

<sup>22</sup> GDC ხელი

<sup>23</sup> E შუქთა

52. მზემან მხლებელთა უბრძანა: „ჟამ ერთ აქ<sup>1</sup> ენამენითა, ქრისტეს იესოს ღ(მრ)თის მადლსა,<sup>2</sup> მოდით, თქვენც ენამენითა, თუ არ ენამენთ<sup>3</sup>, ნუ ნახვალთ, აქ დამემონამენითა“.

და ვა<sup>4</sup> ქალაღდისას მოთქმანი,<sup>5</sup> ვითა ვთქვა<sup>6</sup> ან ამ ენითა.

53. მოთქმიდა:<sup>7</sup> „ნორჩო აღვაო, ტანად ზრო, განა თვალითა ხელმწიფობითა გაზრდილო,<sup>8</sup> ტურფაში<sup>9</sup> განათვალითა, მარგარიტითა<sup>10</sup> შემკულო, მოხდომით განათვალითა,

და აქამღი<sup>11</sup> შენმა<sup>12</sup> მჭვრეტელმან<sup>13</sup> რა ვნახე განა თვალითა!“

54. „ვა<sup>14</sup> არსად გახლავსთ<sup>15</sup> ლაშქარნი, ჯალაზნი თავადებისა, თავს გადგენენ,<sup>16</sup> ნახონ<sup>17</sup> პატიჟი,<sup>18</sup> სასარჯლოდ<sup>19</sup> ცეცხლი<sup>20</sup> გზებისა,<sup>21</sup>

ახ, ვინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა რა<sup>22</sup> მოხდებისა,<sup>23</sup>

და ესდენი<sup>24</sup> რკინა მხურვალე ვის გულსა დაედებისა!“

---

<sup>1</sup> GE ჟამ აქ ერთ

<sup>2</sup> E მაცა

<sup>3</sup> GC ენამოთ

<sup>4</sup> AF ვაი

<sup>5</sup> A მოთქმა

<sup>6</sup> A ვსთქუა

<sup>7</sup> ECDAF მოსთქმიდა

<sup>8</sup> AF გაზდილო

<sup>9</sup> E ტურფაშიგ

<sup>10</sup> GCF მარგალიტითა

<sup>11</sup> E აქამღინ

<sup>12</sup> D შენმან

<sup>13</sup> A მჭვრეტელმა

<sup>14</sup> A ვაჰ

<sup>15</sup> E გახლავან AF გახლავნ

<sup>16</sup> E გადგენ, A გადგან

<sup>17</sup> A სჯანი

<sup>18</sup> EA პატიჟინი

<sup>19</sup> E სახარჯლო, D სასაჯლოდ, F სასჯელი

<sup>20</sup> A ცეცხლ, F ცეცხლთა

<sup>21</sup> A ეგზებისა, F დებისა

<sup>22</sup> F არ

<sup>23</sup> E მოჰედებისა

<sup>24</sup> D ესოდენ

55. „სულო, გაუშვი<sup>1</sup> ალაგნი,<sup>2</sup> თვალნო<sup>3</sup> დააგდენ ბუდენი, გულო, საძირკვლით<sup>4</sup> აღმოხე,<sup>5</sup> მოირღვენ გარე ზღუდენი, ტანო, ზე ნულარ მართიხარ, გიდის<sup>6</sup> ქვე ზღვანი უდენი, და ქარო, სად მისწვდე,<sup>7</sup> მიილე ამბავნი<sup>8</sup> არ<sup>9</sup> სამრუდენი“.<sup>10</sup>

56. მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოთა ყოფითა,<sup>11</sup> ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არსამყოფითა, ფაროზისგან<sup>12</sup> შეპყრილი<sup>13</sup> სულთა და ხორცთა ყოფითა, და მოსე ვით გამაგრებული, მათი<sup>14</sup> სარჯლისა<sup>15</sup> ყოფითა. **(27)**

57. მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის ნამსა, **(28)** უბრძანა,<sup>16</sup> თუ: „აქ დამიხვდით,<sup>17</sup> აჰა, ღ(მერ)თი ვისაც<sup>18</sup> გნამსა“, მან<sup>19</sup> შეჰკვივლა,<sup>20</sup> ხელი<sup>21</sup> იკრა<sup>22</sup> თავსა პირსა, თვალ-ნამნამსა, და რაზომ სხვანი გააკვირა,<sup>23</sup> ვერ მოშალა: „იგი გვწამსა“<sup>24</sup>.

---

<sup>1</sup> EA გაუშვენ

<sup>2</sup> E ადგილნი, AF ადგილი

<sup>3</sup> DC თვალნი, F თვალო

<sup>4</sup> A საძურკულით გულო

<sup>5</sup> EA ამოხე, F აღმოხენ

<sup>6</sup> F გადის

<sup>7</sup> F მიხვდე

<sup>8</sup> E ამბავი, C ანბავნი

<sup>9</sup> E არსად

<sup>10</sup> E მრუდენი

<sup>11</sup> E მყოფითა

<sup>12</sup> D ფაროზისგან, A ფაროზისგან

<sup>13</sup> A შეპყრობილი

<sup>14</sup> EA მთასა, D მათის

<sup>15</sup> D სასჯლისა

<sup>16</sup> C უბძანა

<sup>17</sup> A დამხვდითა

<sup>18</sup> A ვისცა

<sup>19</sup> A მაშინ

<sup>20</sup> EC შეჰკვივლა

<sup>21</sup> E ჴელი, A ჴელნ

<sup>22</sup> EA იკრა

<sup>23</sup> ED გააკვირვა, A გააკვირვა

<sup>24</sup> GD გვწამსა

58. მხედართ ხელი ჰკრეს,<sup>1</sup> გააგდეს კარიდამ<sup>2</sup> თავშიშველია, სხვა ღონე ვერ ქნა, მოივლო მან გარეშემო გველია; ნინ გივი შემოეყარა, იქ თურმე მიმავალია,<sup>3</sup> და ნელთა მოიხსნა, მოხვია<sup>4</sup> თავს შალი<sup>5</sup> საფარველია.

59. შესტირა: „ვაი<sup>6</sup> რა ვნახე, ეს<sup>7</sup> რა დღე<sup>8</sup> მოვინახია“;<sup>9</sup> შეიპყრეს ჯელთა მნათობი, იგი უებრო სახია,<sup>10</sup> ნინ დაუთათრეს მხლებელნი,<sup>11</sup> ვერვინ თქვა სიტყვა მჭახია,<sup>12</sup> (29) და მე ასერ<sup>13</sup> გარე გამაგდეს, აჰა რომ შენვე ნახია.<sup>14</sup>

60. ასმათ<sup>15</sup> თავგაგლეჯილი<sup>16</sup>, მკერდამდი<sup>17</sup> სისხლთა მღვრელია, რაჟამს გააგდეს თინათინ შემცდარი,<sup>18</sup> ვითა ხელია; ნობათი მოხვდა,<sup>19</sup> მონახეს მერმე გიორგი მღვდელია.<sup>20</sup> (30) და პოვეს,<sup>21</sup> აჩვენეს ყოველი მას იგ,<sup>22</sup> რაც<sup>23</sup> სატანჯველია.

---

<sup>1</sup> C კრეს

<sup>2</sup> GC კარიდამ

<sup>3</sup> E მას გივი წინა დაუხვდა, იგ თურმე მომავალია, A მას გივი წინა დაუხვდა, აქ თურმე მომავალია

<sup>4</sup> GC მოხვია, A მოხივნა

<sup>5</sup> A შილა

<sup>6</sup> EA აჰა

<sup>7</sup> E ესე

<sup>8</sup> E –

<sup>9</sup> CD მოვინახეა

<sup>10</sup> D სახეა

<sup>11</sup> A მხლებლები

<sup>12</sup> CD მჭახეა

<sup>13</sup> A ასე

<sup>14</sup> GCD მე ასრე გარ გამომაგდეს, შენ რომე დამინახია.

<sup>15</sup> E ასმათსვით, A ასმათ ვით

<sup>16</sup> D თავგარდაგლეჯილი

<sup>17</sup> E მკერდამდის, A მკერდამდ

<sup>18</sup> E შემცარი, C შემცთარი

<sup>19</sup> E მიხვდა, A მოხუდა

<sup>20</sup> A მღვდელია

<sup>21</sup> EA ჰპოვეს

<sup>22</sup> E იგი

<sup>23</sup> EA –

61. მღვდელმან<sup>1</sup> რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები; ლახვარნი ანუ სამსჭვალნი, ლურსმანი,<sup>2</sup> რაცა შიშები, შეკრთა<sup>3</sup>, ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები, და გულსა ჩაეხმო ვერა ქნა სასარჯლო<sup>4</sup> ანგარიშები.

62. შეუზახა:<sup>5</sup> „იმერელო, რად დაგერთო აგრე<sup>6</sup> თრთოლა, აჰა ჟამი, ვისცა<sup>7</sup> გინდა<sup>8</sup> ჩემი თანა წამოყოლა, განა<sup>9</sup> არვის გარდახდია<sup>10</sup> სასჯელი<sup>11</sup> და ასრე წოლა? და ვინ დარჩება<sup>12</sup> ქვეყანაზედ? – ბოლოდ<sup>13</sup> გვიჯობს<sup>14</sup> ასრე რბოლა“.

63. „იცი ხომ,<sup>15</sup> ქრისტეს რა უყვეს, მას სასწაულსა ლ(მრ)თისასა, ლერწამი<sup>16</sup> ფრჩხილსა დაავლეს დამხსნელსა ადამისასა, ლურსმითა ძელსა<sup>17</sup> მიაკრეს,<sup>18</sup> ჰყოფენ<sup>19</sup> ნებასა მისასა, და რად არ იჭირვი, ეღირსო<sup>20</sup> საქმესა წამებისასა?“

---

<sup>1</sup> A მღვდელმან

<sup>2</sup> C ლუსმალი

<sup>3</sup> EA შეჰკრთა

<sup>4</sup> D სასაჯლო

<sup>5</sup> A შეუძახა

<sup>6</sup> EA ასრე

<sup>7</sup> G ვისაც

<sup>8</sup> GC უნდა

<sup>9</sup> A გან

<sup>10</sup> B გარდაჰქვია, A გარდახდია

<sup>11</sup> EA სარჯელი

<sup>12</sup> EA დარჩების

<sup>13</sup> G ბოლო, D ბოლოს

<sup>14</sup> GEDA გვიჯობს

<sup>15</sup> D ხომ იცი

<sup>16</sup> D ლელწამი

<sup>17</sup> D ძელს

<sup>18</sup> D დამოკიდეს

<sup>19</sup> DC ყოფენ

<sup>20</sup> D უღირსო

64. რა სასჯელს ვერვინ შემართა,<sup>1</sup>

ვერც ვინ ქნა მისოდნობანი,<sup>2</sup>

რა ხელი ჰყვიან,<sup>3</sup> შეიქნის, თავით ფერხამდი<sup>4</sup> დნობანი,<sup>5</sup>

რა ქ(რისტ)ეს ზურგი აქციეს,<sup>6</sup> ქნესა<sup>7</sup> მაჰმადის<sup>8</sup> ნდობანი,

და რა ესე<sup>9</sup> ჰკადრეს<sup>10</sup> მას მზესა, ველარ დაატყვეს ნდობანი.<sup>11</sup>

65. ახედნა, ერთი სიტყვანი მაშინლა ბრძანა ახითა:

„თქვენც იცით, ყოვლნი<sup>12</sup> დედანი ვართო ერთისა<sup>13</sup> სახითა,

აუგი არის კაცთათვის, რაცა<sup>14</sup> ჩვენ გვწყვების<sup>15</sup> ნახითა,

და მას ზევით<sup>16</sup> რაცა<sup>17</sup> სასჯელი<sup>18</sup> მიყოთ,<sup>19</sup> არა ვარ ძრახითა.“<sup>20</sup>

66. მერმე გაუბეს<sup>21</sup> ხელ-ფერხი,<sup>22</sup> გაძაბეს განა მაჯები,

გაზით<sup>23</sup> დაგლიჯეს<sup>24</sup> ძუძუნი, დადვეს<sup>25</sup> მხურვალე საჯები,

შუბლსა შემოსდვეს ბარები, იმას არ მისცეს აჯები,<sup>26</sup>

და აღმა ახეთქეს<sup>27</sup> კეფანი, ვაი თქმით აქ ვისაჯები. (31)

---

<sup>1</sup> E შემართა

<sup>2</sup> D მისანდობანი

<sup>3</sup> CD ყვიან

<sup>4</sup> GCD ფერხამდინ, E ფერწამდის

<sup>5</sup> D ნდობანი

<sup>6</sup> A აღრივეს

<sup>7</sup> GECD ქნეს, A ჰქნეს

<sup>8</sup> GECD მაჰმადისა, A მამადისა

<sup>9</sup> C ჯელი, D ხელი

<sup>10</sup> CD კადრეს

<sup>11</sup> B რა ესე ჰკადრეს მას მზესა, უნდათ  
საწმილში ლობანი

<sup>12</sup> GD ყოვლი

<sup>13</sup> EA ერთითაზედან

<sup>14</sup> GEA რაც

<sup>15</sup> GD გვეწყვების, EA გვეწყვების

<sup>16</sup> GEDA ზედა

<sup>17</sup> E არცა

<sup>18</sup> GEA ისაჯეთ, D ისაჯნეთ

<sup>19</sup> GA ჰქენით, ED ქენით

<sup>20</sup> GD ზრახითა

<sup>21</sup> A აუბეს

<sup>22</sup> A ფეხი

<sup>23</sup> D გაჯით

<sup>24</sup> E გაგლიჯეს

<sup>25</sup> GEA დასდვეს

<sup>26</sup> GEDC ბარები შუბლსა შემოსდვეს,  
ყველა ქნეს მათი აჯები, A ბარები  
შუბლსა შემოსდვეს, დასდვეს მხურ-  
ვალე საჯები

<sup>27</sup> GEC ახეთქნეს

67. ვაიმე, იმ დღის<sup>1</sup> მსხენებსა,<sup>2</sup> დამვიწყდეს<sup>3</sup> ჭირნი<sup>4</sup> წინანი, მკერდით ზურგამდი<sup>5</sup> გაავლეს<sup>6</sup> გახურვებული<sup>7</sup> რკინანი, მე ავაზაკი შემცოდე ახლოს<sup>8</sup> არ ვიყავ, ვინანი, და მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი.

68. ქვემ დაუფინეს, დახურეს ზედან<sup>9</sup> ლურსმისა რკინანი, ქვე წახრით<sup>10</sup> იგი<sup>11</sup> გააპეს ბროლი, ლალი<sup>12</sup> და მინანი, სხვა წამოსახეს, დაყარეს<sup>13</sup> ჯორცთაგან ტყავნი<sup>14</sup> წინანი, და მაგრამ<sup>15</sup> არ განყდა<sup>16</sup> ტანჯვისა გულზედა<sup>17</sup> დასანვინანი.

69. ჯილად ქვაბი, ყამჩად ბარი, ამბარჩებად საჯებია,<sup>18</sup> ვარდად ცეცხლი, ქინძისთვებად შამფურებით ირჯებია, ჩქიფად გაზი, ბუნბულ-საბნად ლურსმის წვერი ჯაჯებია, და ყოლ ბაღებად გაძაბული თოკით ჰქონდა მაჯებია.

70. დედობრივისა ბუნებით თავს იღვევ ესე ჭირები,<sup>19</sup> ჰპოვე უკუდავი<sup>20</sup> ცხოვრება საცვიფრო, განსაკვირვები, მე მამაკაცი, მხნე ვაჟი ასე ამრიგად ვირები, და ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!

---

<sup>1</sup> GC დღისა

<sup>2</sup> GDC მსხენესა

<sup>3</sup> GDC დამვიწყდა, A დამწყვიტეს

<sup>4</sup> GDC დღენი

<sup>5</sup> GDC ზურგამდინ, E ზურგამდის

<sup>6</sup> BEA დაავლეს

<sup>7</sup> A გახურვებულნი

<sup>8</sup> EA ახლოს

<sup>9</sup> GCD ზედა

<sup>10</sup> GECDA წაიარეს

<sup>11</sup> GECDA –

<sup>12</sup> B სათი

<sup>13</sup> AE დაჰყარეს

<sup>14</sup> GCD ტყავი

<sup>15</sup> CD მაგრა

<sup>16</sup> BA გასწყდა

<sup>17</sup> BEA გულზედან

<sup>18</sup> DEBC 69-ე სტროფი აკლია

<sup>19</sup> DEBC 70-ე სტროფი აკლია

<sup>20</sup> G უკვდავი

71. მან წმინდამან მას ჟამს იქით არა ყოვნა<sup>1</sup> წამსა ერთსა, სული თვისი<sup>2</sup> მიაბარა მეუფესა, მისა<sup>3</sup> ღ(მერ)თსა, სამოთხეში<sup>4</sup> მიელიან ქალწულებში<sup>5</sup> შენაერთსა, და ირინე<sup>6</sup> და მარინეოს,<sup>7</sup> იქმენ<sup>8</sup> მათში განაერთსა. (32)

72. ზეცით მოვიდა ნათელი, იხილეს<sup>9</sup> სრულად<sup>10</sup> ერმანო, იესო ქრისტე ადიდეს, სრულ ყმანვილმან და ბერმანო,<sup>11</sup> გვარჯასპისშვილმან<sup>12</sup> მსახურა, არ ხუცესმან<sup>13</sup> და ბერმანო, და მისმან<sup>14</sup> მკვლელმან<sup>15</sup> ქნა<sup>16</sup> მას აქეთ კარგი ვერც არა ვერმანო.<sup>17</sup>

73. წელზედ ახადეს<sup>18</sup> საფლავსა, იგ ნინოს დასადარია, სული ამოხდა<sup>19</sup> სურნელი,<sup>20</sup> აღარსად იყო მკვდარია,<sup>21</sup> თქვეს: „ფრანგნი<sup>22</sup> მოიპარევედეს,<sup>23</sup> თუ სად დაეცათ<sup>24</sup> დარია.“ და მე ვიტყვი ზეცას წასვლასა,<sup>25</sup> წმელეთზე<sup>26</sup> არსად არია. (33)

---

<sup>1</sup> A ჰყოვნა

<sup>2</sup> A მისი

<sup>3</sup> GEDCA მისსა

<sup>4</sup> B სამოთხესა

<sup>5</sup> D ქალწულები

<sup>6</sup> D ირინი

<sup>7</sup> GC მარინეო, EB მარინეოზ, D მარინაო

<sup>8</sup> D იქმან

<sup>9</sup> DC იხილა

<sup>10</sup> DC სულა

<sup>11</sup> DC სულა ერთობით ბერმაო

<sup>12</sup> D გორჯასპისშვილმან, C გოჯასპისშვილმან

<sup>13</sup> DC ყმანვილმან

<sup>14</sup> D მისამან

<sup>15</sup> A მკვლელმან

<sup>16</sup> GEA ქმნა

<sup>17</sup> DC ვერცარა კაი ვერმანო

<sup>18</sup> EB აპწადეს, A აღხადეს

<sup>19</sup> E აღმოჰწდა, B ამოჰწდა

<sup>20</sup> BD სულნელი

<sup>21</sup> A მკუდარია

<sup>22</sup> A ფრანგანი

<sup>23</sup> G მოიპარავდეს, B მოიპარავდენ

<sup>24</sup> A დაეცა

<sup>25</sup> BG წასულსა

<sup>26</sup> E წმელზედან, A წმელზედა

74. ამა წმინდისა<sup>1</sup> მუნ ზარი<sup>2</sup> ყოველგან გაისმებოდა, ჯვარის მოსავეთა ყოველთა ნაწილნი<sup>3</sup> ენატრებოდა, თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან<sup>4</sup> დაითვლებოდა, და არავის<sup>5</sup> მისცა<sup>6</sup> შააბაზ,<sup>7</sup> ცოდვითა აივსებოდა.

75. მალვით მონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარებსა, რა ცნეს, შეესმა<sup>8</sup> ვერ შოვნა ნიმროზელთ<sup>9</sup> მწიგნობარებსა **(34)** ლუსკუმაშიგან<sup>10</sup> ჩაიდვეს, უკმევდეს მუშკ-ამბარებსა,<sup>11</sup> და იგი კურნებდის<sup>12</sup> სნეულთა, თუ ვინ მიუდგის კარებსა. **(35)**

76. მათ ანამეს წმინდა ესე<sup>13</sup> სეკდემბერსა<sup>14</sup> ათორმეტსა, **(36)** შვიდსა თვემდე<sup>15</sup> მოგახსენებ სასნაულსა მეტის-მეტსა, საქართველო აღებულა წელს<sup>16</sup> ნაჭამი ათერთმეტსა,<sup>17</sup> და მარტში<sup>18</sup> დარჩა მას მეუფეს<sup>19</sup> ქრისტიანსა<sup>20</sup> ნათლის<sup>21</sup> სვეტსა. **(37)**

---

<sup>1</sup> A წმიდისა

<sup>2</sup> A მუზარი

<sup>3</sup> GCD ნაწილი

<sup>4</sup> D ფრანგთათაგან

<sup>5</sup> A არ ვის არ

<sup>6</sup> B არვის არ მისცა

<sup>7</sup> G შაპ-აბაზ, B შაპაბაზ, D შაბაბაზ

<sup>8</sup> A შეესმათ

<sup>9</sup> D ნიმროზელთ

<sup>10</sup> A ლუსკუმას შიგან

<sup>11</sup> B ანბარებსა

<sup>12</sup> EB ჰკურნებდის, D კურნებდეს

<sup>13</sup> A იგი

<sup>14</sup> GA სეკდემბერსა

<sup>15</sup> EC თვემდე, D თვემდე

<sup>16</sup> CD წელ

<sup>17</sup> CD ათორმეტსა

<sup>18</sup> EA მარტი, B მარტო

<sup>19</sup> B მეუფე

<sup>20</sup> GC ქრისტიანი, D ქრისტიანე, A ქრისტიანსა

<sup>21</sup> GC ნათლი

77. ღ(მრ)თისა მიერ მორჩილობა თურე იყო გულსა მათსა<sup>1</sup>,  
ამად იყო უვნებელი,<sup>2</sup> დაყოვნებით<sup>3</sup> წელსა ათსა,  
მას სიკვდილი ვერ მოჰკლევდა,<sup>4</sup> ღ(მრ)თის  
ტრფიალსა მინა-სათსა,<sup>5</sup>

და ცოცხალია, გვირგვინით<sup>6</sup> ზის,<sup>7</sup> მას<sup>8</sup> ხარისხსა კიბისასა.

78. ვითარცა<sup>9</sup> ყოვლნი<sup>10</sup> საჩინო,<sup>11</sup> ნებროთს გმირობით უხმობენ,  
სამისოდ ფილოსოფოსთა<sup>12</sup> და ბრძენთა ენა უხმობენ,  
რიტორნი მრავალ-მეტყველნი რა მივლენ, ნახვენ, უხმობენ,  
და ვერ შეიგებენ<sup>13</sup> ქებასა, არიოპაგელს უხმობენ.

79. ვით ითქმის ქება მეფისა ღვთივ დაცულ, დაფარულისა,  
ან დაუმკვიდრა<sup>14</sup> დოვლათი<sup>15</sup> ეტლთაგან<sup>16</sup> არ ფარულისა,  
მას მიენიჭა<sup>17</sup> უფლება<sup>18</sup> ამ სანუთროსა<sup>19</sup> სრულისა,  
და მოშორება<sup>20</sup> აქეს ვეშაჰსა ღრუბელთა მოარულისა.

---

<sup>1</sup> D მისსა

<sup>2</sup> EC უნებელი

<sup>3</sup> CD დაყოვნებით

<sup>4</sup> CDA მოკლევდა

<sup>5</sup> E ხათსა

<sup>6</sup> GCDA გვირგვინი

<sup>7</sup> GCD აქეს, E ათქს, A ადგს

<sup>8</sup> GCDA ზის

<sup>9</sup> C ვითაცა

<sup>10</sup> GCD ყოვლი

<sup>11</sup> EA საჩინოდ

<sup>12</sup> BA ფილოსოფოსნი, E ფილასოფოს-  
ნი, CD ფილასოფოსთა

<sup>13</sup> GD შეიგნებენ, C შაიგნებენ

<sup>14</sup> A დაუმკვიდრდა

<sup>15</sup> B დავლათი

<sup>16</sup> GC ეტლითგან

<sup>17</sup> A მიანიჭა

<sup>18</sup> A მეფემან

<sup>19</sup> D სანუთროსა

<sup>20</sup> EBA მოშორება

80. წერს,<sup>1</sup> იტყვის: „ვა, დავემარხე<sup>2</sup> მე სიკვდილისგან<sup>3</sup> წინარე, ტყვექმნილი, შეჭირვებული, ვიგონებ<sup>4</sup> თვალთა<sup>5</sup> წინარე, ორისაგანვე გარჯილი<sup>6</sup> გუბე მიდგს<sup>7</sup> ცრემლთა, წინ არე, და ტრედო, მიმიძელ<sup>8</sup> სიონად, წამიძელ<sup>9</sup>, შენვე წინარე“.

81. ესე დღე აღსასრულისა ჟამთა და წელთა ჩემისა, ვერ განვიწმინდენ<sup>10</sup> ცოდვანი სულთა ნუგეშისცემისა, ძვირის<sup>11</sup> ვნებითა<sup>12</sup> ვნებული, გინება მის დაცემისა,<sup>13</sup> და სულთა და ხორცთა გაყრაში, რალა ვთქვა<sup>14</sup> მის დაცემისა!

82. ოდესმე ნავდგე<sup>15</sup> შიშველი, ქედ დახრით დაყმუნებული,<sup>16</sup> ოდითგან<sup>17</sup> ცოდვით მოსილი, არ მადლით განბრწყინებული, ორგანივთვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკენელ წარდგინებული<sup>18</sup>, და მიმელის მატლი უძილი<sup>19</sup> და ცეცხლი აღტყინებული.<sup>20</sup>

---

<sup>1</sup> BEA სწერს

<sup>2</sup> ECD ვაი დავემარხე, B ვაი, დავემჯე

<sup>3</sup> GCD სიკვდილისა, A სიკუდილისგან

<sup>4</sup> C ვგონებ

<sup>5</sup> C თვალითა

<sup>6</sup> E გაჭრილი

<sup>7</sup> BEA მითქს

<sup>8</sup> EA მიმიძელვ

<sup>9</sup> B წარმიძელ, E წარმიძელვ, A წამიძელ-  
ლუ

<sup>10</sup> GEC განვიწმინდე

<sup>11</sup> B ძვირით

<sup>12</sup> B ვის ნებით, D ვნებისა

<sup>13</sup> G მისდა ცემისა

<sup>14</sup> B ვსთქვა, A ვსთქუა

<sup>15</sup> A წარსვდგე

<sup>16</sup> D არის ქედდადრეკილი

<sup>17</sup> GCD ოდიდგან

<sup>18</sup> ECD წარჩინებული, A განბრწყინვე-  
ბული

<sup>19</sup> G უძილო

<sup>20</sup> C ატყინებული

83. ჯერ, ლ(მერ)თო არა ვარ ღირსი თვალთა მე<sup>1</sup> ზეცად ახილვად,<sup>2</sup>  
ჯეროვნად მზისა, მთვარისა, მალლისა ცისა დახილვად,  
რაჟამს მოვიდეს გაბრიელ ცოდვათა ჩემთა დახილვად,  
და მას თვალნი ველარ შევადგენ<sup>3</sup>, ვიყო კვლავ<sup>4</sup> დაღმა დახილვად.

84. ან ესე<sup>5</sup> მიკვირს,<sup>6</sup> რამცა ვქმენ<sup>7</sup> საქმენი გასაჩინელი,  
მე ვკადრე<sup>8</sup> ხელის მიყოფა, იყო ბრძენთ გასაჩინელი,  
თუცა მსუროდა, სევდითა ვიყვენით ცრემლთა მდინელი<sup>9</sup>  
და თვარე<sup>10</sup> მას უხმდეს მეტყველად<sup>11</sup> თვით იოანე<sup>12</sup> სინელი,

85. თქვენ, გონიერნო მკითხველნო და ლექსთა შემამკობელნო,  
ძნელისა გამომგებელნო,<sup>13</sup> სიტყვათა გამანყობელნო,<sup>14</sup>  
რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნო,  
და თქვენ შეათავეთ მის მადლსა, მართლისა გამთარგმებელნო.

86. ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავი,  
თქმული ჩემი ვინც შესცვალოს,<sup>15</sup> კარგი იყოს, თუნდა ავი,  
რჯულისაგანც<sup>16</sup> შეიცვლების, რისხავს მისი საესავი,  
და მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს,<sup>17</sup> სულ<sup>18</sup> ეს არი ბოლო თავი.

---

<sup>1</sup> A ზე

<sup>2</sup> C ალხილვად

<sup>3</sup> E შევადგენ

<sup>4</sup> GCD კვლა

<sup>5</sup> D ეს

<sup>6</sup> D მიკვირსო

<sup>7</sup> BE ვჰქენ, A ვქენ

<sup>8</sup> BE ვჰკარე

<sup>9</sup> C დენილი

<sup>10</sup> D თვარა

<sup>11</sup> CD მეტყველნი

<sup>12</sup> C იოვანე

<sup>13</sup> CD განმგონებელნო

<sup>14</sup> GCD შემანყობელნო

<sup>15</sup> EG შეცვალოს

<sup>16</sup> D სჯულისაგანც, A რჯულისაგანმც

<sup>17</sup> DA მითქომს

<sup>18</sup> A სრულ

## კომენტარები

(1) ქეთევანი ბაგრატიონთა მუხრანულ შტოს ეკუთვნოდა. იგი აშოთან მუხრანბატონის ასული იყო. 1589 წელს მიათხოვეს კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის (1574-1605), ვაჟს, დავითს. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ამ ქორწინებამ შეარიგა ქართლის მეფე სვიმონ I და კახეთის მეფე ალექსანდრე II (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 579). შესაძლოა, კონკრეტულად ეს პოლიტიკური სარჩულიც ედო ქორწინებას. დავითი მამას დაუპირისპირდა და 1601 წელს კახეთის მეფე გახდა, თუმცა 6 თვეში (1602 წ.) გარდაიცვალა და ტახტი კვლავ ალექსანდრემ დაიკავა. 1605 წლის 12 მარტს ალექსანდრეს გამაჰმადიანებულმა ვაჟმა კონსტანტინე მირზამ მამა და ძმა – გიორგი დახოცა და კახეთის ტახტი თვითონ დაიჭირა, ამასთან რძალს – ქეთევანს – შეუთვალა, რომ მაჰმადიანთა წესის თანახმად, მას ცოლად გაჰყოლოდა (ბერი ეგნატაშვილი 1959: 383; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 583; გრიგოლ დოდორქელი 1989: 11; ცხოვრება საქართველოჲსა 1980: 61). „შემირთვე და იყავი კვლადცა დედოფალი და, უკეთუ არა ინებო, მე ძალით ვყო ესე“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 583). ქეთევანმა უარყო კონსტანტინეს წინადადება. იგი სათავეში ჩაუდგა კახელების აჯანყებას კონსტანტინეს წინააღმდეგ, რის შემდეგაც დაიწყო მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და ფაქტობრივი მმართველობა კახეთში. გრიგოლ დოდორქელის თანახმად, აჯანყებულები ქეთევანის მმართველობას აღიარებდნენ და არ სცნობდნენ კონსტანტინეს ხელისუფლებას (გრიგოლ დოდორქელი 1989:

13). ფარსადან გორგიჯანიძის თანახმადაც, „ქეთევან დედოფალი ქვრივ კახეთში ბატონობდა“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 227). აჯანყება გახანგრძლივდა. შაჰ აბასმა შეატყო რა, რომ კახელებსა და კონსტანტინეს შორის შფოთი არ დაცხრებოდა, დათანხმდა ქეთევან დედოფლის წინადადებას, რომ კახეთის ტახტზე მისი ვაჟი – თეიმურაზი – აეყვანათ. ძეგამში ჩასულმა კონსტანტინემ ქეთევანთან მოლაპარაკება სცადა. მან „კაცი გაგზავნა [მეფის] ოჯახის მანდილოსნებთან, განსაკუთრებით დედოფალთან, რომელიც არა თუ მონანილეობას იღებდა, მთავარი გამგებელიც იყო მათი სახელმწიფო საქმეებისა“ (ისქანდერ მუნში 1969: 57). აჯანყება კონსტანტინეს მარცხით დამთავრდა. 1605 წლის 22 ოქტომბერს, ბელაქნის ველზე იგი მოკლეს. კონსტანტინეს გარდაცვალებისთანავე დედოფალმა ბრძანება გასცა, რომ ბრძოლა შეენწყვიტათ, მუსლიმ მსახურებს ნება დართო, რომ კონსტანტინეს გვამი არდებილში წაესვენებინათ და დაეკრძალათ. იგი დიდი შემწყნარებლობით მოეკიდა კონსტანტინეს ლაშქარში მყოფ მებრძოლებს და დაჭრილთა მკურნალობაზეც კი იზრუნა.<sup>1</sup> ამ ნაბიჯით ქეთევანმა არა მხოლოდ ქრისტიანული შემწყნარებლობა გამოავლინა, არამედ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაც – კონსტანტინეს წინაღმდეგ ბრძოლა აღარ გადაზრდილა ანტისპარსულ აჯანყებაში.

აჯანყების დასრულების შემდეგ, ქეთევანმა კვლავინდებურად განაგრძო კახეთის მართვა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 583). არაქელ დავრიჟეცის ცნობით „კახეთის სამეფო ხელისუფლებას დაეუფლა ალექსანდრეს რძალი – დავითის ცოლი ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ასე ისურვეს ქვეყნის დიდებულებმა, რადგანაც იგი დავითის მეუღლე იყო, რომელსაც მეფობა ალექსანდრემ მისცა; მეორეც, იგი იყო ტახტის მემკვიდრის,

<sup>1</sup> Hirotake Maeda, გვ. 3 (გამოუქვეყნებელი მასალა).

თეიმურაზის, დედა და ტახტის დამცველი თავისი ძისა, თეიმურაზისა, რომელიც ჯერ ისევ შაჰთან იყო მძევლად“ (არაქელ დავრიჟეცი 1974: 16). 1606 წელს, როდესაც შაჰ აბას I-მა კახეთის ტახტზე თეიმურაზი დაამტკიცა, ქეთევანმა ძალაუფლება მას გადასცა: „შვილო, აქამომდე ვიყავ მე საქმითა მამაკაცებრივითა, ვიდრემდის დასცხრა ღელვა-გუემულებამ სამეფოსა ამას“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 18), თუმცა დედოფალი პოზიციებს ინარჩუნებდა და სამეფოს მმართველობაში აქტიურად მონაწილეობდა. 1607 წელს, როდესაც შაჰ-აბასმა შემახას ციხის ასაღებად იხმო თეიმურაზი, მეფემ ლაშქრობას თავი აარიდა და შეუთვალა, რომ „გათავისუფლებინათ ამყამად მალალ კარზე ხლებისაგან და რომ გამოგზავნიდა თავის დედას, დედოფალს, რომელიც [მისი] ქვეყნის მთავარი საქმეების გადამწყვეტი იყო“ (ისქანდერ მუნში 1969: 69). ქეთევანის, როგორც პოლიტიკური მმართველის მოღვაწეობას ადასტურებს არაქელ დავრიჟეცის ცნობა, როდესაც იმამყული-ხან უნდილაძე ცდილობდა დაეყოლიებინა ქეთევანი გამაჰმადიანებულიყო, მას დედოფალმა მიუგო: „მეფის ასული, მეფის მეუღლე და მეფის დედა ვარ. ჩემი მეუღლის შემდეგ მე თვითონაც მიმეფნია, მაგრამ წარმავალია და ამაო ქვეყნიური დიდება“ (არაქელ დავრიჟეცი 1974: 42) „ისეთი სრული იყო მისი დედოფლობა, რომ სპარსელებს „დედუფალ“ მისი სახელი ეგონათ“ (ავალიშვილი 1938: 27, სქ. 1). ევროპელი ავტორებიც მას „დოპოლს“, „დედოპოლს“ უწოდებდნენ (ტაბალუა 1986: 107, სქ. 27, 108). პიეტრო დელა ვალეს ცნობით, შაჰ აბასი ეცადა განხეთქილება ჩამოეგდო თეიმურაზ მეფესა და ქეთევან დედოფალს შორის. მეფე დაარწმუნეს, რომ ქეთევანი მეორედ აპირებდა გათხოვებას და სამეფო მემკვიდრეობის გადაცემას მომავალი შვილებისთვის, რის გამოც გაბრაზებულმა თეიმურაზმა ქეთევანს

ჩამოართვა მართვის სადავეები (პიეტრო დელა ვალე 1879: 42; Пьетро Делла Валле 1994: 357; ვათეიშვილი 2014: 71; მამისთვალისშვილი 2011: 67), ხოლო საქმროდ მიჩნეული ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (ძმა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილისა, იგივე ნიკიფორე ირბახისა) მოაკვლევინა. ქაიხოსრო გავლენიანი ფეოდალი იყო, საფიქრებელია, რომ იგი კახეთის ანტიირანულ დაჯგუფებას მეთაურობდა, რის გამოც შაჰ აბასის ინტრიგების წყალობით თავიდან მოიშორეს საქართველოს წინააღმდეგ სპარსელთა პირველი ლაშქრობის წინ (Жордания... 1994: 384-386).

**(2)** იგულისხმება 1613 წელს ქეთევან დედოფლის დიპლომატიური მისია შაჰ აბასთან. ვრცლად იხ. კომენტარი 4.

**(3)** გრიგოლ დოდორქელის აღწერით, ქეთევან დედოფალი იყო: „ფრიად შუენიერ და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე, და ჰაეროვნებაჲ მისი დაჰფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყნისასა“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 6). ამბროზიო დუშანჟუის აღწერით, ქეთევან დედოფალი „ტანდაბალი გახლდათ. დაახლოებით ორმოცი წლისა უნდა ყოფილიყო (ალ. სავანელის ცნობით, 1624 წ. დედოფალი 51 წლის ასაკში აღესრულა (სავანელი 1857: 45), ხელთ მლოცველის ჯოხი ეპყრა. ქვრივივით შავად მოსილს, თავ-კისერიც მოშავო საბურველით დაეფარა. მეტად პირმშვენიერი და უაღრესად დარბაისელი, არა მარტო სამეფოს, არამედ მთელი სუვერენული იმპერიის დედოფლობის ღირსი იყო. არაჩვეულებრივად წმინდა და სასიამოვნო, განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა ყველას, ვინც ერთხელ მაინც იხილავდა. მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ იმას, რაც მის სულში ხდებოდა, რამეთუ ღვთის მსახურთა ღვთიური მადლი მათ სახეზედაც გამოანათებს ხოლმე“ (გულბენკიანი 1987: 35). ჟ. შარდენის ცნობით: „დედოფალი საკმაოდ ხანდაზმული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ლამაზი

უნდა ყოფილიყო. პირველ დანახვისთანავე აბასს შეუყვარდა დედოფალი, ან, შესაძლებელია, თავი მოაჩვენა მიჯნურად“ (ჟან შარდენი 1975: 306-307). ქრისტეფორე კასტელი ასე ახასიათებს მას: „[მისი] გარეგნობა თვით ანგელოზს შეშურდებოდა; ამასთანავე იგი სულიერადაც წმიდანივით ბრწყინავდა“ (ქრისტეფორე კასტელი 1976: 41).

(4) 1612 წელს შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეები თეიმურაზ I და ლუარსაბ II ნადირობის საბაბით მაზანდარანში დაიბარა. მეფეები მასთან არ გამოცხადნენ, რაც აჯანყების ტოლფასი იყო. შაჰმა საქართველოს საღვთო ომი გამოუცხადა (ისქანდერ მუნში 1969: 81). ისქანდერ მუნში თეიმურაზის საქციელს ასე აფასებს: „მათ (ქართველებს), და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს, „უდარდებლობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“ (ისქანდერ მუნში 1969: 82). 1613 წ. შაჰ აბასი, ვითომდა ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად მიმავალი, ლაშქრითურთ განჯაში დაბანაკდა და თეიმურაზს მძევლად შვილი მოსთხოვა, რათა მის ერთგულებაში დარწმუნებულიყო და გარანტია ჰქონოდა, რომ ოსმალებს არ შეეკვრებოდა (თეიმურაზ ბატონიშვილი 1862ა: 328). კახელი წარჩინებულების დაჟინებული თხოვნით მეფე იძულებული გახდა დათანხმებოდა შაჰ აბასს და მასთან უმცროსი ძე ალექსანდრე გაეგზავნა თავის დედასთან – ქეთევანთან ერთად. მათ კახელი დიდებული ნოდარ ჯორჯაძე გააყოლა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 586). ქეთევანი შაჰს არ ენდობოდა და წასვლისგან თავს იკავებდა. „მრავალჯერ მიჴსნია ქვეყანად ესე კახეთისად დედობრივითა უძღურებითა ჩემითა. უკეთუ წარვიდე მეცა, არა ინებებს მეფე იგი უსჯულო მშვიდობის ყოფად ჩუენდა, რამეთუ არს იგი მოუმიდოვრებულ“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 21). ასეთივე შინაარსის ცნობებს გვანვდის თეიმურაზ ბატონიშვილი

(თეიმურაზ ბატონიშვილი 1862ა: 329). ელჩობის ხელმძღვანელად ქეთევანი სამეფო ოჯახის ნევრობის, დიდი დიპლომატიური ნიჭისა და „ყოველმხრივ წინდახედულობის“ (გულბენკიანი 1987: 27) ნიშნით შეარჩიეს. პიეტრო დელა ვალეს ცნობით, თეიმურაზმა დედა გაგზავნა დიპლომატიური მისიით, რადგან იყო ჭკვიანი და **მრავალჯერ ნამყოფი სპარსეთში** (Пьетро Делла Валле 1994: 360; ვათეიშვილი 2014ბ: 74). შაჰმა, მიუხედავად იმისა, რომ ქეთევანი პატივით მიიღო, განრისხდა, ძიძა ხომ არ ვარო და უფროსი შვილი – ლევანი მოითხოვა (ბერი ეგნატაშვილი 1959: 392; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 586), „რამეთუ ენება სრულად ყოველთა ხელთგდებად“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 586). ქეთევან დედოფალი მიხვდა ვითარების არსს და შეეცადა შაჰ აბასი გადაერწმუნებინა, ხაზი გაუსვა რა კახეთის სამეფოს სტრატეგიულ მნიშვნელობას და იმ შედეგებს, რომლებიც ქართლისა და კახეთის სამეფოს განადგურებას მოჰყვებოდა სპარსეთისთვის, როცა გზა გაეხსნებოდათ ოსმალებს და, ზოგადად, სპარსეთის მტრებს ირანის სახანოებისაკენ (თეიმურაზ ბატონიშვილი 1862ა: 336). ამასთან თეიმურაზს შეუთვალა, რომ ლევანი აღარ გაეგზავნა შაჰთან, მაგრამ კახელი წარჩინებულები კვლავ დაჟინებით ურჩევდნენ მეფეს: „ნუ მოსწყვედ კახეთს ერთისა ყრმისათვისო“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 392; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 586) და თეიმურაზი იძულებული გახდა ლევანიც შაჰის კარზე გაეგზავნა თავად დავით ასლანისშვილთან ერთად (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 586). ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, შაჰთან გაგზავნილი ყოფილა თეიმურაზის და, ელენეც (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 229). პიეტრო დელა ვალეც გვამცნობს, რომ თეიმურაზს შაჰთან გაუგზავნია დედა, ორი გაუთხოვარი და და ორი შვილი (პიეტრო დელა ვალე 1879: 45; ვათეიშვილი 2014ბ: 74).

თერგის ვოევოდა პ. გოლოვინის ცნობით, თეიმურაზს დედასთან და შვილებთან ერთად ძმაც გაუგზავნია მძევლად (ტივაძე 1973: 133; გუგუშვილი 1979: 13; მამისთვალისძე 2011: 71), თუმცა, სპარსეთში მყოფი რუსი ელჩები მხოლოდ თეიმურაზის დედას და შვილებს ასახელებენ (უფროსი ვაჟი 4 წლის იყო, უმცროსი კი – 3 წლის) (ტივაძე 1973: 129). ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ თეიმურაზი თავის ძმასთან და დასთან ერთად შაჰ აბასთან 1610 წელს ჩავიდა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 584). ისქანდერ მუნშის თანახმად, ქეთევან დედოფალს, თეიმურაზის ორ ვაჟთან ერთად, ახლდნენ საპატიო აზნაურები, ქართველი ეპისკოპოსები და ბერები (ისქანდერ მუნში 1969: 83). არაქელ დავრიჟეცის ცნობით, თეიმურაზს შაჰის მოთხოვნით ჯერ თავისი ვაჟები გაუგზავნია მძევლად რიგ-რიგობით, შემდეგ კი, მესამე მოთხოვნაზე თავისი დედა, რომელსაც შეცდომით მარიამს უწოდებს (არაქელ დავრიჟეცი 1974: 41).<sup>1</sup>

ნასროლა ფალსაფის ცნობით, გიორგი სააკაძის შეგულიანებით სალაშქროდ წამოსულ შაჰს თეიმურაზმა თავისი დედა ქეთევანი და ორი ვაჟი ძღვენით თბილისთან მიაგება და შეწყალება სთხოვა. მიუხედავად ხანიშიშესულობისა ქეთევანი ლამაზი იყო, შაჰს იგი მოეწონა, გამაჰმადიანება და ცოლად გაყოლა შესთავაზა, მაგრამ ქეთევანმა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი დიდი სიყვარული გამოავლინა და შაჰს უარი უთხრა, (ამ შემთხვევაში, ნ. ფალსაფი გადაუმონმებლად იმეორებს ევროპული წყაროების ცნობებს), რის შემდეგაც დედოფალი შვილიშვილებითურთ ირანში გაგზავნეს (ფალსაფი 2003: 34). ნ. ფალსაფი ამჟამად ცდება. ქეთევანი და თეიმურაზის ვაჟები

<sup>1</sup> დედოფლის სახელთან დაკავშირებით ჟან შარდენი აღნიშნავს, რომ ქართველები მას ქეთევანს უწოდებენ, ხოლო სპარსელები – მარიამს (ჟან შარდენი 1975: 302, 306).

თბილისთან არ შეხვედრიან შაჰს. ქეთევანის სილამაზით კი აბასს შეეძლო მანამდე არსებული ელჩობების დროს მოხიბლულიყო, რადგან დედოფალს უკვე იცნობდა.

სპარსეთის სამეფო კარისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქეთევანის ელჩობა, რომ ეს სცენა გამოსახული იყო სასახლის ერთ-ერთ კედელზე. პიეტრო დელა ვალეს ცნობით, მხატვრებს გამოუსახავთ შაჰის ფეხებთან გართხმული თეიმურაზ-ხანის (გორჯესთანის ამირა თაჰმურას-ხანის) დედა, რომელიც შაჰს ევედრებოდა ხელი აელო მისი სამშობლოს გავერანებაზე (ფალსაფი 2003: 19).

(5) შაჰ აბასმა 1614 წელს დალაშქრა ქართლი და კახეთი. მეფეები – თეიმურაზ I და ლუარსაბ II – იმერეთში გადაიხვეწნენ. სპარსელები 50 დღე დარჩნენ კახეთში და ააოხრეს სამეფო – დიდი ბრძოლით აიღეს თორღას ციხე, რომელშიც კახეთის მეფეთა განძეულობა ინახებოდა და ხელში ჩაიგდეს თეიმურაზის მთელი ქონება, აიღეს კახეთის დედაქალაქი გრემი, დაიკავეს ალავერდის მონასტერი, ეკლესია და მისი გავლავანი ციხე-სიმაგრედ აქციეს, სადაც სპარსელთა გარნიზონი ჩააყენეს. ირანში გადაასახლეს კახეთის მოსახლეობის ნაწილი, ასევე ალექსანდრე II-ის დროს კახეთში ჩამოსახლებული შირვანელი და ყარაბაღელი გლეხები.

შაჰმა კახეთში მეფედ დასვა თეიმურაზის გამაჰმადიანებული ბიძაშვილი ისა-ხანი (გიორგი ბატონიშვილის ძე). შემდეგ ქართლში გადავიდა და ქართლის სამეფო ააოხრა.

(6) ისკანდერ მუნშის ცნობით, ქეთევანმა, მართალია, მოაგვარა შაჰ აბასისა და თეიმურაზის ურთიერთობა, მაგრამ მეფე ლუარსაბის ძმისწულმა ბაგრატ-მირზამ შაჰს აჩვენა თეიმურაზის ბარათი, რომელიც „მოლაპარაკების საწინააღმდეგო და დროისთვის მეტად შეუფერებელ სიტყვებს შეიცავდა ...

იმ წერილის შინაარსმა ისე გააღვივა [შაჰის] რისხვის ცეცხლი, რომ ის ველარ ჩააქრო შუამდგომელთა მორჩილმა [თხოვნამ]. თეიმურაზის დედა და ვაჟები, მათთან მყოფ მსახურებთან ერთად, სანდო კაცებით ერაცში<sup>1</sup> გაგზავნა და აზნაურები გამოცდილ ხალხს გადასცა, რომ მათი ზედამხედველობით [უკან] დაბრუნებულიყვნენ“ (ისქანდერ მუნში 1969: 83-84). შაჰმა დედოფალი დაატყვევა და „ექსორიობით დასაჯა“ – შირაზში გადაასახლა შვილიშვილებითურთ.

(7) ჰეროდია ახალი აღთქმის პერსონაჟია, რომელმაც შურისძიების მიზნით ჰეროდე ანტიპას (ჰურიასტანის ტეტრარქი) იოანე ნათლისმცემელისთვის თავი მოაკვეთინა. ამ შემთხვევაში, ჰეროდისთან შედარებულია შაჰ აბასი და შურისძიების სიმბოლოს გამოხატავს.

(8) შაჰ-აბასის ბრძანებით, ქეთევან დედოფალი და მისი შვილიშვილები განჯიდან შირაზში გაგზავნეს (გრიგოლ დოდორქელი 1989: 22). ირანში მყოფი რუსი ელჩების თანახმად კი – ისპაჰანში (ტივაძე 1973: 129; მამისთვალისშვილი 2011: 71). პარიზის ქრონიკა გვამცნობს, რომ დედოფალი ისპაჰანში უნდა გაეგზავნათ, თუმცა შემდეგ შირაზში გადაასახლესო (ცხოვრება საქართველოსა 1980: 79). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, შაჰმა შირაზში გააგზავნა მძევლები, თუმცა კომენტარებში აღნიშნულია, რომ შაჰი ისპაჰანში გაგზავნას დაპირდა ქეთევანს, მაგრამ სინამდვილეში შირაზში გაისტუმრა (თეიმურაზ ბატონიშვილი 1862ბ: 10 სქ. 1). ი. ტაბალუა იმონებებს პიეტრო დელა ვალეს ცნობას, რომ ქეთევან დედოფალი ჯერ ქ. ამრაფში იყო 6 თვით (გულბენკიანი 1987: 62), თუმცა პიეტრო დელა ვალეს მოხსენებაში საქართველოს შესახებ პაპ ურბან VIII-სად-

---

<sup>1</sup> სპარსეთი.

მი ორგან არის აღნიშნული, რომ დედოფალი შვილიშვილებითურთ შირაზში გაუგზავნიათ (პიეტრო დელა ვალე 1879: 46, 52; Пьетро Делла Валле 1994: 360, 366; ვათეიშვილი 2014: 75, 81). განჯიდან ამრაფში და შემდეგ შირაზში გადასახლებაზე საუბრობენ ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 587; გულბენკიანი 1987: 62) და ალ. სავანელი (სავანელი 1857: 40). ამბროზიო დუმ ანჟუშის ცნობით „იგი მუდამ ერთსა და იმავე ქალაქში, შირაზში ცხოვრობდა, სადაც თავიდანვე მიიყვანეს“ (გულბენკიანი 1987: 30). ჩანს, დედოფალი განჯიდან შირაზამდე, გზად ამრაფში შეჩერებულა. შირაზში დედოფალი 1617 წელს ჩავიდა (ტაბალუა 1986: 112). იგი იმამყული-ხანს ჩააბარეს. ქეთევანი და მისი მხლებლები შაჰის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, თუმცა არა ისე, როგორც „სპარსეთის დიდ ხელმწიფეს შეშვენოდა და არც ისე, როგორც დედოფალს ეკადრებოდა. მას უბრალო ქალივით ექცეოდნენ“ (გულბენკიანი 1987: 30). მოგვიანებით ვითარება შეცვლილა – დედოფალი და მისი მხლებლები აღარ იყვნენ ისე შევიწროებულნი, როგორც პირველ ხანებში (ნატროშვილი 1991: 223). შირაზში მას და მთელ მის სახლს (მას ჰყავდა მრავალი მოსამსახურე ქალი და კაცი) (პიეტრო დელა ვალე 1879: 52; ვათეიშვილი 2014: 75) კარგად ეპყრობოდნენ.

(9) ქეთევანის ტყვეობა შირაზში შედარებულია ტყვეობის ბიბლიურ სიმბოლოსთან – ეგვიპტეში ყოფნასთან, რომელშიც შესაძლოა მოვიხაროთ, როგორც რჩეული ერის ტყვეობა ეგვიპტეში, ასევე ახალი აღთქმისეული ეპიზოდი – ნმინდა ოჯახის ეგვიპტეში ხიზნობა, სადაც ყოვლადნმინდა ღმრთისმშობელი და მართალი იოსები მაცხოვრის აღზრდაზე ზრუნავდნენ. მათი ღვანლის დარად დედოფალ ქეთევანის ნუგეშიც ტყვეობაში შვილიშვილების აღზრდაზე ზრუნვა იყო.

(10) შირაზში ტყვეობისას ქეთევანი შაჰის ბრძანებით შვილიშვილებს დააშორეს. პიეტრო დელა ვალეს ცნობით, ისინი შირაზშივე იყვნენ და შირაზის მმართველის – იმამყულიხანის – ჰარემის ახლოს ცხოვრობდნენ. შაჰს ვინაიდან განზრახული ჰქონდა თეიმურაზის ვაჟების გამაჰმადიანება, ხოლო დედოფალს მათ სარწმუნოებაში განმამტკიცებლად მიიჩნევდა, ამიტომ საგანგებოდ დააშორა ერთმანეთს ბებია და შვილიშვილები (პიეტრო დელა ვალე 1879: 54; Делла Валле 1994: 367, 393).

(11) შაჰ აბასის ბრძანებით 1620 წ. თეიმურაზის ვაჟები დაასაჭურისეს. შაჰ აბასის შურისძიება გამოიწვია თეიმურაზ I-ის კავშირმა ოსმალეთთან და რუსეთთან. შაჰ აბასისგან დევნილმა თეიმურაზმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ოსმალეთთან, 1618 წელს გაგზავნა ილუმენი ხარიტონი და დახმარება სთხოვა სულთანს. ხონთქარმა მას გონიო და სხვა ტერიტორიები უბოძა. თეიმურაზმა მონაწილეობა მიიღო 1618 წ. ოსმალეთის ომში ირანის წინააღმდეგ. ირანისა და ოსმალეთის დაზავების შემდეგ მან ორიენტაცია რუსეთზე აიღო. რუსი ელჩები შაჰ აბასისგან ითხოვდნენ: თეიმურაზისთვის კახეთის დაბრუნებას, საქართველოში მტრული მოქმედებების შეწყვეტასა და ქეთევანისა და თეიმურაზის შვილების გათავისუფლებას (ტივაძე 1977: 28-29). შაჰ აბასი კი თეიმურაზის ოსმალეთისგან ჩამოშორებას და შაჰის კარზე ხლებას მოითხოვდა. თეიმურაზის დასჯის მიზნით, მისი შვილები, ლევანი და ალექსანდრე, დაასაჭურისებინა. ალექსანდრემ წამებას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი ჭკუიდან შეიშალა და 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა (სავანელი 1857: 43). ამ ამბავს თავდაპირველად არ უმხელდნენ ქეთევანს. შირაზში მყოფი პიეტრო დელა ვალე დედოფალთან შეხვედრის წინ საგანგებოდ გააფრთხილეს ქეთევანის მხლებლებმა, რომ შვილიშვილების დასჯის შესახებ

არაფერი ეთქვა (პიეტრო დელა ვალე 1879: 54; Пьетро Делла Валле 1994: 367; ვათეიშვილი 2014ბ: 83). ჩანს, შაჰი არ ახმაურებდა თეიმურაზის შვილების დასჯისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას, ან რუსეთის მთავრობის წინაშე თავის გასამართლებლად, გავრცელებული ხმების საწინააღმდეგოდ ყველა გზას მიმართავდა. მან 1622 წ. ქ. აშრაფში მყოფ რუს ელჩებს ვითომ თეიმურაზის ვაჟები აჩვენა (მამისტვალიშვილი 2011: 126). არქანჯელო ლამბერტის თანახმად, თეიმურაზის ვაჟები არ მოუკლავთ, მათ მიიღეს ისლამი და ერთ-ერთი მათგანი მამის სანახავად საქართველოშიც კი ჩამოვიდა (ტაბალუა 1986: 106).

(12) შირაზში ქეთევან დედოფალს თავისი სამლოცველო ჰქონდა. „ყოველნი საღმრთონი, ხატი და ნაწილნი წმიდათა თანა აქუნდეს მცველად თვსად, და ეკუდერიცა მცირე აღაშენა სალოცავად თვსად“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 22). პიეტრო დელა ვალეს ცნობით, ძვირფას საეკლესიო ნივთებს, წიგნებს და სამოსლებს დიდი თაყვანისცემით ინახავდა (პიეტრო დელა ვალე 1879: 52; Пьетро Делла Валле 1994: 366; ვათეიშვილი 2014ბ: 81). იგი „ხშირად მარხულობდა, ერთთავად ლოცულობდა, თავის ნაზ სხეულს გვემდა მონანიებით“ (გულბენკიანი 1987: 34). იმავეს გვამცნობს გრიგოლ დოდორქელიც „მარხვასა ეგზომსა მისცა თავი თვისი, ვიდრე ჴორცთა საზომსა თანა წარჴდა“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 24). მოსე მღვდლის წამების შემდეგ ქეთევანთან მეორე მღვდელი დარჩა, რომელიც მასთან ერთად ყოველდღე ლოცულობდა, უკითხავდა სახარებას, მოციქულთა ეპისტოლეებს, ლოცვებს, ქადაგებებს და წმინდანთა ცხოვრებას (გულბენკიანი 1987: 31, 64). ამბროზიო დუშ ანჟუში ხაზს უსვამს, რომ ეს წიგნები კათოლიკური იყო, მაგრამ ქართულ ენაზე დანერილი. მისი მიზანი დედოფლის გაკათოლიკების და-

სამტკიცებლად იყო ის, რომ რომის ეკლესიას ქეთევანი წმინდანად შეერაცხა, თუმცა 1640 წ. თავის მოხსენებით ბარათში აღიარა, რომ ქეთევანი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული დარჩა. ქეთევანი თავის მწირ საზრდოს გლახაკებს უნაწილებდა, მათ რწმენაში გაძლიერებისაკენ მოუწოდებდა, ხოლო მისი ხუცესი აზიარებდა (გრიგოლ დოდორქელი 1989: 24).

(13) ქეთევან დედოფალს, შესაძლოა, შირაზში თან ჰქონოდა თავისივე დაკვეთით გადაწერილი ლოცვანი (H-284), რომელიც 1609 წ. ქვათახევის წინამძღვარმა იოანე ავალიშვილმა გადაწუსა. თ. ჟორდანიას აღწერით, ხელნაწერს ცრემლებისა და სისხლის წვეთის ლაქა აქვს, ასევე სანთლის ნალვეთები ატყვია (ჟორდანია 1897: 438).

(14) ქრისტიანული დოქტრინის თანახმად, მეორედ მოსვლის დროს ანგელოზები დასცემენ საყვირებს და ამ ხმის გაგონებაზე მოხდება საყოველთაო აღდგომა (მათ. 24, 31; I თეს. 4, 16; I კორ. 15, 52), რასაც მოყვება საყოველთაო განკითხვა – „საშინელი სამსჯავრო“. მეფე თეიმურაზი განიცდის, რომ თავისი უღირსობის გამო ვერ დაიმკვიდრებს სასუფეველს და დედამისს ვერ შეეყრება მარადიულ ცხოვრებაშიც.

(15) ხალარ-ხანი თეიმურაზის მიერ გამოგონილი ტიტული უნდა იყოს იმამყული-ხანის განსაზღვრულად და „ხა[ნ] ლარ-ხანს“ ხანთახანს უნდა აღნიშნავდეს „ბეგლარბეგის“ ანუ „ბეილერბეის“ – „ბეგთაბეგის“ ანალოგიით (შდრ. მეფეთა მეფე, ფაშათა ფაშა და ა.შ.) (ჟორდანია 1984: 146).

(16) ქეთევან დედოფალს შაჰ აბასმა გამუსლიმება შესთავაზა. ავგუსტინელი ბერები, 1640 წელს, პროპაგანდისადმი წარდგენილ წერილში აღნიშნავენ: „სპარსეთის შაჰმა ... ქეთევან დედოფალს შეუთვალა მაჰმადიანობა მიეღო, რის შემდეგაც

ცოლად შეირთავდა და დიდძალი სიმდიდრითაც დაასაჩუქრებდა“ (თამარაშვილი 1995: 537). ყ. შარდენის ცნობით: „აბასს შეუყვარდა დედოფალი, ან, შესაძლებელია, თავი მოაჩვენა მიჯნურად. დედოფალს მაჰმადიანობის მიღება და ცოლობა შესთავაზა“ (ყან შარდენი 1975: 302, 306).<sup>1</sup> ამასვე გვამცნობს კრისტოფორო დე კასტელი „შაჰ აბასმა, როდესაც პირისპირ ნახა დედოფალი, ძლიერმა ცეცხლოვანმა სურვილმა და ვნებიანმა წვამ შეიპყრო. სიყვარულით დამთვრალმა მოსინჯა დედოფლის კდემამოსილება. მლიქვნელობით, დაპირებითა და მოტყუებით გააგებინეს ქეთევანს, რომ თუ უარყოფდა ქრისტიანულ სარწმუნეობას, სპარსეთის სამეფო გვირგვინს მიიღებდა“ (კრისტოფორო კასტელი 1976: 41, 214). იმავეს იმეორებს არქანჯელო ლამბერტი (ტაბალუა 1986: 111). საპირისპიროს გვამცნობს გრიგოლ დოდორქელი: შაჰმა ქეთევანს სთხოვა, „რაფთა იყო ჩემდა დედად საყუარელად და მე ვიყო შენდა შვილი და მორჩილ სიტყუათა შენთა, და განაგებდე პალატსა ჩემსა, ვითარცა ჯერ-გიჩნდეს.“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 25) თუმცა ამ შემთხვევაშიც დედოფლობისგან განსხვავებით ძალაუფლებას სთავაზობს. ასევე, დაპირდა, რომ თეიმურაზს სამეფოს დაუბრუნებდა (გრიგოლ დოდორქელი 1989: 26).

ქეთევან დედოფლის წამების რამდენიმე მიზეზს ასახელებენ წყაროები. არაქელ დავრიჟეცი მოგვითხრობს, რომ სპარსეთში მრავლად იყვნენ დატყვევებული დიდგვაროვანი ქართველები, რომლებიც შაჰის კარზე მსახურობდნენ. ისინი გამაჰმადიანე-

---

<sup>1</sup> ეს თემა აიტაცეს ევროპელმა მწერლებმა კ. მალენგრიმ და ა. გრიფიუსმა და თავიანთ ნაწარმოებში დიდი ადგილი დაუთმეს. ამასთან, საინტერესოა ამბროზიო დუსე ანჟუის წერილი გორიდან გაგზავნილი 1629 წ. 27 აპრილს რომის პაპისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ დედოფალი აწამეს ვინაიდან სარწმუნოებას, ნამუსს, ანუ უბინოებას იცავდაო (ავალიშვილი 1938: 24). ზ. ავალიშვილის შეფასებით, „შაჰაბაზის ტრფობა მით უფრო გამოგონილად უნდა ჩაითვალოს, რომ ქეთევანი 1624 წ. ხანში შესული მანდილოსანი იყო“ (ავალიშვილი 1938: 25).

ბულები იყვნენ, მაგრამ მათი დედები ქრისტიანებად რჩებოდნენ. როდესაც შაჰმა ჰკითხა ამ ქართველებს, თუ რატომ არ ილებდნენ მათი მშობლები ისლამს, მათ უპასუხეს, რომ მრავალჯერ სცადეს, მაგრამ, რადგანაც თეიმურაზის დედა ქრისტიანად რჩება, ამიტომ მათი დედებიც წინაპართა რჯულის დაცვას ამჯობინებენ. ამის შემდეგ მოსთხოვა შაჰ აბასმა ქეთევანს გამაჰმადიანება (არაქელ დავრიჟეცი 1974: 42). ცხადია, ქეთევანის წამებას გაცილებით ღრმა მიზეზები ჰქონდა, თუმცა დედოფლის სარწმუნოებრივი სიმტკიცე დიდ გავლენას ახდენდა ქართველობაზე და მისი საქციელი ბევრისთვის სამაგალითო იყო. კახეთიდან განდევნილი მეფე თეიმურაზი ოსმალეთში ჩავიდა. ცდილობდა ირან-ოსმალეთის ომები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამასთან, პარალელურად, ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან. ქართველმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთში შექმნილი მდგომარეობის გამო ისინი აქტიურად ვერ დაეხმარებოდნენ ქართველებს და რუსეთისგან მხოლოდ დიპლომატიურ მხარდაჭერას ითხოვდნენ (სვანიძე 1971: 276). რუსეთის მიერ ირანში გაგზავნილი ელჩები შაჰს რამდენიმე მოთხოვნას უყენებდნენ: ხელი აეღო საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობებზე, თეიმურაზისთვის დაებრუნებინა სამეფო და ირანში მყოფი მძევლები: ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის ვაჟები გაეთავისუფლებინა (Накашидзе 1968: 60, 63).

ამბროზიო დუმ ანჟუშის თანახმად: შაჰ აბასის ეჭვით, ქეთევან დედოფალი წერილობით ამცნობდა თავის შვილს სპარსეთში მიმდინარე მოვლენებს. მოსკოვის დიდმა მთავარმა შაჰს სთხოვა დედოფალი გაეთავისუფლებინა და ელჩთან ერთად გაეგზავნა. შაჰმა ეს თეიმურაზის ეშმაკობად ჩათვალა. ელჩს გადანყევით არ უპასუხა და დრო შეგნებულად გააჭიანურა. ამასობაში შირაზში მეომრები გაგზავნა. მათ ქეთევანისთვის

გამაჰმადიანება უნდა შეეთავაზებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ენამებინათ. გამუსლიმების შემთხვევაში, კანონის მიხედვით (ქრისტიან ტყვეს, რომელიც რჯულს მიატოვებდა, მაჰმადიანები აღარ აძლევდნენ მშობლებთან და ახლობლებთან დაბრუნების უფლებას), დედოფალი სამშობლოში ვეღარ დაბრუნდებოდა. რადგანაც ქეთევანმა მონამეობრივი გზა აირჩია, შაჰმა რუსეთის ელჩი დაარწმუნა, რომ იგი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა (გულბენკიანი 1987: 36; მამისთვალისძე 2011: 127). პიეტრო დელა ვალეც მიიჩნევს, რომ რუსეთის მოთხოვნამ დედოფლის გათავისუფლების თაობაზე გააღიზიანა შაჰი და ქეთევანის მოკვლა გადაწყვეტიდა (Делла Валле 1994: 368; ვათეისძე 2014ბ: 83-84). აღ. სავანელის ცნობით, შაჰ აბასმა ქეთევანის წამებით თეიმურაზზე იძია შური ოსმალეთთან კავშირის გაბმის გამო (სავანელი 1857: 42). ამასთან, მოცემულ პერიოდს თეიმურაზი ხელსაყრელად მიიჩნევდა და ანტიირანული გამოსვლებისთვის ემზადებოდა (ტივაძე 1990: 44).

**(17)** შირაზის გამგებელი, რომელსაც ქეთევანი ჰყავდა ჩაბარებული, გახლდათ იმამყული-ხან უნდილაძე. იგი თვლიდა, რომ ქეთევანი ხანდაზმული იყო და მისთვის რჯულის შეცვლა მიუღებელი იქნებოდა. ბერი ეგნატაშვილის ცნობითაც, იმამყული-ხანს შაჰ აბასისთვის შეუთვლია „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდების, და რას აქნევთო ამის გათათრებასაო, დაეკსენითო, თქვენთვის სირცხვილი არისო ამისი სიკვდილი“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 401).

**(18)** იმამყული-ხანი და მისი ძმა დაუდხანი (თეიმურაზ I-ის დის ქმარი) ალავერდი-ხან უნდილაძის ვაჟები იყვნენ. ალავერდი-ხან უნდილაძე შაჰ აბას I-ის კარზე აღზევდა. იგი ირანში ჩანს დაახლ. XVI ს-ის 60-70-იანი წლებიდან. წარმოშობით თავადაზნაურულ ფენას ეკუთვნოდა (გაბაშვილი 1972: 67-68;

მაედა 2008: 35-41). პიეტრო დელა ვალეს ცნობით, იგი საქართველოდან გაიტაცეს ბავშვობაში და ტყვედ გაყიდა. ვ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ უნდოდაცაა საგვარეულო შინაფეოდალურ დაპირისპირებას შეენიროს და სპარსეთში გადაიხიზნენ (გაბაშვილი 1972: 71-72). ალავერდი-ხანი სეფიანთა სამეფო კარზე დაწინაურდა. შაჰ აბასმა მისი ინიციატივით ჩაატარა სამხედრო რეფორმა და შექმნა ყულის ჯარი. იგი იყო ყულის ჯარის პირველი სარდალი – ყულარალასი და ფარსის ბეგლარბეგი. ალავერდი-ხანის შემდეგ XVIII საუკუნის I მეოთხედის დამლევამდე ყულარალასად ყოველთვის გამაჰმადიანებული ქართველები ინიშნებოდნენ. პიეტრო დელა ვალეს ცნობით, ალავერდი-ხანი შაჰაბასის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პიროვნება იყო ირანში. მის ძლიერებაზე მეტყველებს შაჰ აბასის სიტყვები ანტონიო გოვეასთვის ნათქვამი: „მთელი სპარსეთი მემორჩილება, მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილები“ (გაბაშვილი 1972: 66, სქ. 7). შაჰ აბასი მას სრულიად ენდობოდა და მამას უწოდებდა (ფალსაფი 2003: 19-20). მისი გარდაცვალების შემდეგ იმამყული-ხანმა მიიღო ფარსის ბეგლარბეგობა (ეს თანამდებობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა, მანამდე იმამყული-ხანი იყო დაღესტნის მმართველი და დივანის ამირა) (ფალსაფი 2003: 21). ამასთან იგი იყო ქუჰ-გილუიეს, ლარის, ბაჰრეინისა და ჯორჯინის ბეგლარ-ბეგი. შაჰის კარის ოფიციალურმა ისტორიკოსმა ისქანდერ მუნშიმ 1629 წელს შედგენილ ირანის დიდმოხელეთა სიაში პირველ ადგილზე იმამყული-ხანი დაასახელა, ხოლო მესამე ადგილზე მისი ძმა დაუდ-ხანი (განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი და ამირათ-ამირა, ყაჯართა ელისა და ოიმახის წინამძღოლი) (ისქანდერ მუნში 1969: 147; ჟორდანია 1984: 138). იმამყული-ხანს ევროპული წყაროები სამხრეთ ირანის ვიცე-კოროლს უწოდებდნენ

(გაბაშვილი 1972: 64). იმამყული-ხანს ძლიერ მმართველად და კულტურის მეცენატად ახასიათებენ მისი თანამდეროვენი: თომას ჰერბერტი (ირანში ინგლისის ელჩობის წევრი), ჟან-ბატისტ ტავერნიე (ფრანგი მოგზაური და ვაჭარი), პიეტრო დელა ვალე (იტალიელი მოგზაური, ისტორიკოსი და პოეტი), ადამ ოლეარიუსი (გერმანელი მეცნიერი, დიპლომატი და მოგზაური), დონ გარსია დე სილვა ფიგეროა (ესპანელი დიპლომატი). იმამყული-ხანი იყო დიდი სიმდიდრისა და გავლენის პატრონი. იგი იყო ხელძღვანელი შაჰ აბასის მეფობისას განხორციელებული მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიებისა: ორმუხისა და ქემის დაპყრობა, ნახევრადდამოუკიდებელი სამთავროების გაუქმება და ირანთან შეერთება, ვაჭრობის გაცხოველება, კაშხლებისა და ხიდების აგება, გზების გაყვანა, ცენტრალური და სამხრეთ ირანის ეკონომიკური დანინაურება, კულტურული ღონისძიებები (გაბაშვილი 1972: 69).

უნდილაძეები პროქართული განწყობილების მატარებელნი იყვნენ. ვ. გაბაშვილი ვარაუდობს, რომ ალავერდი-ხან უნდილაძე წინააღმდეგი იყო 1614 წელს შაჰ აბასის საქართველოზე ლაშქრობისა და ამ ამბებს შეენირა. იმამყული-ხანსაც ავადმყოფობის მომიზეზებით არ მიუღია მონაწილეობა შაჰ აბასის 1616 წ. ლაშქრობაში ქართლ-კახეთის წინააღმდეგ (გაბაშვილი 1972: 68-69).

1626 წლის შემდეგ დაუდ-ხანის მეშვეობით თეიმურაზ I და შაჰაბასი შერიგდნენ. შაჰმა თეიმურაზი სცნო ქართლ-კახეთის მეფედ (არსებული ვითარება აღიარა). გიორგი სააკაძის საფრთხის გამო თეიმურაზის ინტერესებში შედიოდა ირანთან შერიგება. სააკაძე ამ დროს უკვე ოსმალეთში იყო გადახიზნული. ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოსმალთა მხარდაჭერით აპირებდა სააკაძე თეიმურა-

ზისტვის ტახტის წართმევას (ბერი ეგნატაშვილი 1959: 412; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 436). ირანისთვისაც ხელსაყრელი იყო თეიმურაზთან დაზავება. თეიმურაზთან ვითარების დარეგულირებისთვის შაჰმა დაუდ-ხანს განჯის ბეგლარბეგობა უბოძა. თეიმურაზი ირანში ჩასულა და შირაზში იმამყული-ხანს სტუმრებია. იმ მეჯლისსაც დასწრებია, რომელიც 1628 წლის 22 მარტს ინგლისის ელჩისთვის, დოდმორ კოტონისთვის, გაუმართავს იმამყული-ხანს (ავალიშვილი 1938: 86-87). მართალია, ჯ. ვათეიშვილი მიიჩნევს, რომ ეს ვიზიტი გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო (ვათეიშვილი 2014ა: 395-396), მაგრამ საეჭვოა, რომ ოფიციალურ წვეულებაზე დამსწრე პირს კონსპირაციულად ემოქმედა, ამასთან შაჰის აგენტურისთვის ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ხოლო ამხელა რისკზე არც თეიმურაზი წავიდოდა და არც იმამყული-ხანი, თუმცა პატივცემულ მეცნიერს ვეთანხმებით, რომ თეიმურაზსა და იმამყული-ხანს შორის გარკვეული შეთანხმება არსებობდა. ჩანს, ისინი გეგმავდნენ შაჰ აბასის წინააღმდეგ გამოსვლას და საჯარო შესაძლებელია ორმუზის გარშემო განვითარებული მოვლენები ამასთან კავშირში იყოს. ჯ. ვათეიშვილი მიიჩნევს, რომ იმამყული-ხანი კ. ორმუზის აღების შემდეგ ფარულად შეეკრა პორტუგალიელებს და შაჰის სანინააღმდეგო მოძრაობაში ჩაერთო (ვათეიშვილი 2014ა: 393, სქ. 43). ამასთან, თეიმურაზისა და იმამყული-ხანის სამომავლო გეგმები ითვალისწინებდა ანტიოსმალური პროექტის განხორციელებას ევროპელ მონარქებთან ერთად. ამ მიზნით, თეიმურაზმა ელჩობა გააგზავნა ევროპაში ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის, იმავე ნიკოლოზ ირბახის მეთაურობით. ნიკოლოზ ირბახს ესპანეთის სამეფო კარისთვის 1626 წელს ჯერ ანტიირანული კოალიციის შექმნა შეუთავაზებია, ხოლო ამ წინადადების უარყოფის გამო 1627 წელს უკვე ანტიოს-

მალური კოალიციის შექმნის პროექტი წარუდგენია, რომელიც ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს ორ სხდომაზე განუხილავს. თეიმურაზის გეგმით ოსმალების წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლები, რუსი კაზაკები, პოლონეთის მეფის ქვეშევრდომები, ესპანელები და სხვა ანტიოსმალური ძალები. ამ პროექტის ინიციატორად დასახელებულია ვინმე „ამ[ო] ბახა ბახა რებელდე“, რომელიც 80 ათას კაციანი არმიით ჩაერთვებოდა საომარ მოქმედებებში. გ. ჟორდნიას მოსაზრებით, ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო იმამყული-ხანი, რომლის სახელიც შეგნებულად გაასაიდუმლოეს. „ამ[ო] ბახა ბახა რებელდე“ ესპანურად ნიშნავს „ბატონი ფაშათ ფაშა უდრეკელი (ქედუხრელი)“ (ჟორდანიას 1984: 146-147). საფიქრებელია, რომ ესპანელთა მხრიდან სწორედ ამ პროექტით დაინტერესებამ განაპირობა 1628 წ. თეიმურაზის ჩასვლა შირაზში და იმამყული-ხანთან შეხვედრა. ასევე, ზოგადად, კომპრომისი შაჰ აბასთან ურთიერთობის საქმეში (ჟორდანიას 1984: 146-147).

შაჰაბასის გარდაცვალების შემდეგაც, ძმები უნდილაძეების მეშვეობით, გაგრძელდა კომპრომისული პოლიტიკა თეიმურაზსა და ირანის ახალ მმართველ შაჰსეფის შორის. ირანის სამეფოში უნდილაძეთა უდიდესი გავლენა, რომელიც ხშირად ახალგაზრდა შაჰის ძალაუფლებასაც კი ჩრდილავდა, ცხადია, შემაშფოთებელი იყო სეფისთვის. უნდილაძეთა საწინააღმდეგო განწყობას შაჰის კარზე აღვივებდა როსტომ-ხანიც იგივე ხოსრო მირზა (სიმონ I-ის ძმის, დაუდ-ხანის, ვაჟი, ირანის ყულარალასი და ისპაჰანის ტარულა), რომელსაც სურდა ირანში პირველობის მოპოვება და ქართლის ტახტის დაუფლება. შაჰის კარზე ორი ქართული გაერთიანება დაუპირისპირდა ერთმანეთს. როსტომ-ხანისა და უნდილაძეთა დაჯგუფებები. ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარ-

მომადგენლის, კაპიტან ვედელის, ცნობით, ერთ-ერთ ნადიმზე (1630 წლის დასასრულს თუ 1631 წლის დასაწყისში) დაუდ-ხანი თავისუფალი საქციელის გამო შაჰის ბრძანებით დასაჯეს და ჯოხით სცემესო (ავალიშვილი 1938: 107-108; გაბაშვილი 1972: 77). ფარსადან გორგიჯანიძე აკონკრეტებს და გვამცნობს, რომ შაჰმა როსტომის გამო გააძევა დაუდ-ხანი მეჯლისიდან. ამ დამცირებამ კი დაუდ-ხანი შაჰის მიმართ გააორგულაო (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 228). ამასთან, გავრცელებული ხმების თანახმად, იმამყული-ხანის უფროსი ვაჟი სეფიყული-ხანი, სინამდვილეში შაჰ აბასის შვილი იყო. შაჰ აბასმა პატივისცემის ნიშნად თავისი ჰარამხანიდან ერთ-ერთი ცოლი უბოძა იმამყული-ხანს. ქალი იმამყული-ხანთან შეუღლების დროს უკვე 3 თვის ორსული იყო (ფალსაფი 2003: 37, 39-40). სეფიყული-ხანი პირდაპირი მემკვიდრე იყო შაჰაბასისა, ბუნებრივია, ტახტი მას ეკუთვნოდა. ის რეალური კონკურენტი იყო შაჰსეფისა, რომელიც შვილიშვილი იყო შაჰაბას I-ის. სეფიყული-ხანთან ერთად შეითქვენენ იმამყული-ხანის მომდევნო ვაჟები: ფათალი-ბეგი და ალიყული-ბეგი. მათ ხელმძღვანელობდა იმამყული-ხანის ძმა – განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი. მასვე გადაუბირებია მეფე თეიმურაზი. თეიმურაზი კარგად ხედავდა, რომ მისი პოზიციების გარანტი შაჰის კარზე უნდილაძეთა გვარი იყო, ხოლო მათი დამხობის შემთხვევაში, შაჰსეფის ფავორიტის – როსტომ-ხანის პრეტენზიები ქართლის და, შესაძლოა, კახეთის ტახტზეც დაკმაყოფილებულიყო. ამ მიზეზების გათვალისწინებით თეიმურაზი ჩაერთო შეთქმულებაში (ჟორდანი 1984: 161-162; გელაშვილი 1977: 106). შეთქმულების მონაწილე უნდა ყოფილიყო თავად იმამყული-ხანიც (პიეტრო ავიტაბილე 1977: 47).

1632 წელს თეიმურაზ I-მა და დაუდ-ხანმა განჯა-ყარაბაღი დაარბიეს (დაუპირისპირდნენ ამიერკავკასიაში ჩამოსახლებულ მომთაბარე ყიზილბაშურ ტომებს – ელებს). ლაშქრობაში თეი-

მურაზთან ერთად მონაწილეობდა იმერეთის ლაშქარი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, ოდიშის ლაშქარი ლევან II დადიანის მეთაურობით და მესხი დიდებულები. აჯანყებაში ჩაბმულან სომხებიც კათალიკოსის მეთაურობით. ვ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ, „ფაქტიურად, ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა აჯანყებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ“ (გაბაშვილი 1972: 79-80). შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებად მოლაპარაკება მიმდინარეობდა ოსმალებთან და პორტუგალიელებთან. ჩანს, შეთქმულების შესახებ შეიტყო შაჰ სეფიმ. მან იმამყული-ხანი სამეფო კარზე დაიბარა, ხოლო დაუდ-ხანის მოკვლის ბრძანება გასცა, რამაც შეთქმულების დანყება დააჩქარა, თუმცა მოუმზადებლობის გამო შეთქმულება დამარცხდა. იმამყული-ხანი შვილებითურთ სიკვდილით დასაჯეს. გადარჩა მხოლოდ მისი უმცროსი ვაჟი, რომლის დედაც არაბი შეიხის ქალი იყო. იგი დედასთან ერთად გაიქცა და ქ. ბასრაში დამკვიდრდა. ასევე დასაჯეს დაუდ-ხანის ოჯახის წევრები. მისი ერთ-ერთი ცოლი და ვაჟი შაჰთან მძევლად იმყოფებოდნენ. დაუდ-ხანი და მისი ოჯახის ნაწილი თეიმურაზ I-მა გორში გადაიყვანა, იქიდან კი ოსმალებში გაიხიზნენ. უნდილაძეთა განადგურებამ თეიმურაზის მოლოდინი არ გაამართლა და მან დაკარგა ქართლის ტახტი, რომელსაც როსტომ-ხანი დაეპატრონა. თეიმურაზმა დროებით შეინარჩუნა კახეთი, ხოლო 1648 წლიდან კახეთის სამეფოც როსტომ-ხანს დაუქვემდებარეს.

**(19)** იმამყული-ხანი, როდესაც დარწმუნდა, რომ შაჰ-აბასი არ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას ქეთევანის გამაჰმადიანების თაობაზე, დედოფალს მოციქული მიუგზავნა და ამცნო შაჰის ბრძანება, ამასთან ურჩია, რომ გადარჩენის მიზნით ფორმალურად ელიარებინა ისლამი. არაქელ დავრიჟეცი გვამცნობს, რომ იმამყული-ხანი კარის უკან იდგა და ქეთევან

დედოფალს ისე ესაუბრებოდა: „ხელმწიფის ბრძანებით გევალებათა გამაჰმადიანება. თუ თანახმა ხარ, მით უკეთესი: მაგრამ თუ თანახმა არა ხარ, ერთ მაინც თქვი თანხმობა და შენი რჯული გულში დაიმარხე. ხალხის თვალში ისე დაიჭირე თავი, თითქოს ირწმუნე მაჰმადის სარწმუნოება, ფარულად კი ემსახურე შენს რჯულს, რომ ჩვენც ვიხსნათ თავი ცოდვისაგან, რომელიც შენგან მოგველის“ (არაქელ დავრიჟეცი 1974: 42). თუ რამდენად იყო ჩარეული იმამყული-ხანი ქეთევანის წამების ამბავში, წყაროები სხვადასხვა ცნობებს გვანვდიან. არქანჯელო ლამბერტი იმამყული-ხანს დედოფლის მიმართ გადამეტებულად სასტიკ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს. იგი აღნიშნავს, რომ ქეთევანის გატყვის მიზნით, იმამყული-ხანის ბრძანებით ბოძზე მიაკრეს და დაუნდობლად სცემეს (ტაბალუა 1986: 121). წყაროების ნაწილის თანახმად, იმამყული-ხანს სხვა გზა რომ აღარ დარჩა, შეასრულა შაჰის ბრძანება და მისმა ჯვალათებმა აწამეს დედოფალი (სავანელი 1857: 44). გრიგოლ დოდორქელის ცნობით, იმამყული-ხანი დედოფლის წამების დროს ქალაქიდან წავიდა, რომ არ ეხილა ეს საშინელება (გრიგოლ დოდორქელი 1989: 29). ყველაზე სანდო ინფორმაცია დაცულია ამბროზიო დუმ ანჟუმთან. იგი შირაზში იმყოფებოდა და თავად ესწრებოდა დედოფლის წამების სცენას. მისი ცნობით, დედოფალი შაჰის წარგზავნილმა 3 მეომარმა აწამა (გულბენკიანი 1987: 36). ცხადია, ქეთევანის წამების ინიციატორიც და ავტორიც შაჰ აბასი იყო.

**(20)** ამბროზიო დუმ ანჟუმის თანახმად, ქრისტიან ტყვეს, რომელიც რჯულს მიატოვებდა, მაჰმადიანები აღარ აძლევდნენ სამშობლოში დაბრუნების უფლებას (გულბენკიანი 1987: 35; ტაბალუა 1986: 120). რა მონაცემებზე დაყრდნობით ამბობს ამას კათოლიკე მისიონერი, ძნელია გარკვევია, თუმცა ფაქტია,

რომ ამ პერიოდიდან გამაჰმადიანება იყო წინაპირობა ქართლის ტახტის მისაღებად და ქართველ მეფეებს სწორედ ისლამის მიღების შემდეგ ამტკიცებდნენ.

**(21)** იგულისხმება გაბრიელ მთავარანგელოზი

**(22)** ჰაერის მცველები არიან დემონები, რომლებიც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ უფლისკენ მიმავალ მის სულს საზვერებში აბრკოლებენ. ვინც შეძლებს თავისი ცოდვა-მადლის მიხედვით 20 საზვერის ავლას, ღვთის წინაშე წარდგება და მის ღიდებას იხილავს.

**(23)** იგულისხმება თომა მოციქული, ათორმეტთაგანი.

**(24)** იგულისხმება მართალი ანა, რომელმაც შვა კაცთა შორის უპირატესი, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი.

**(25)** მოციქულთა თავს – პეტრეს – მაცხოვარმა ჩააბარა „კლიტენი სასუფეველისანი“ (მათ. 16, 19). (უმეტესად, ამ სიმბოლოთია გამოსახული ხატებსა და ფრესკებზე), ამიტომ ქეთევან დედოფალი მას ევედრება, რომ სამოთხის ბჭენი გაუხსნას.

**(26)** დედოფალმა წამების წინ ითხოვა, რომ დრო მიეცათ ლოცვისთვის, შემდგომ, ვინაიდან აღარ ჰყავდა მღვდელი, საგანგებო ჭურჭელში შენახული წმინდა ნაწილები საკუთარი ხელით აიღო და ეზიარა (გრიგოლ დოდორქელი 1989: 28). თვითზიარების ტრადიცია გავრცელებული იყო ქრისტიანთა დევნის დროს ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანაში (ცინცაბაძე 2010: 64). ამის შესახებ გვამცნობს, ამბროზიო დუმ ანჟუშიც. იგი წერს, დედოფალმა წამებამდე დრო ითხოვა, სამლოცველოში შევიდა, ილოცა და პირში ნაკურთხი პურის ნატეხი ჩაიღო (გულენკიანი 1987: 38; ტაბალუა 1986: 12).

(27) იგულისხმება ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველი, თუმცა, ზ. ავალიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო დედოფლის თანმხლები ბერი მოსე, რომელსაც იხსენიებს ესპანეთის ელჩი ფიგეროა (Делла Валле 1994: 391). ფიგეროა 1617 წლის ბოლოდან 1618 წლის აპრილამდე იმყოფებოდა შირაზში და ხვდებოდა ქეთევან დედოფლის მსლებელ წმ. ბასილის ორდენის წევრს – აღმოსავლეთის წესის ბერს, მოსეს (ავალიშვილი 1938: 53). ქეთევანს რომ ახლდა მღვდელი, ამის შესახებ ხუცესმონაზონი გრიგოლ დოდორქელი მოგვითხრობს: „თანახლდეს მხევალნი მცირედნი და ბერი ერთი სახითა მღვდელი, რომელი უკუანასკნელ ცილის წამებითა რაათამე ცეცხლითა დასაჯეს“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 22). პეტრო დელა ვალეს ცნობითაც, ქეთევანს ჰყავდა სასულიერო პირი, რომელიც, ვინაიდან ძლიერ კეთილი ქრისტიანი იყო, სპარსელებმა მიიჩნიეს ქეთევანის სარწმუნოებაში გამამტკიცებლად და ჩათვალეს, რომ მისი ჩამოშორებით შეძლებდნენ დედოფლის მოდრეკას, ამიტომ მღვდელს რაღაც დანაშაული დააბრალეს და დაწვეს (პეტრო დელა ვალე 1879: 25; Делла Валле 1994: 366; ვათეიშვილი 2014ბ: 81-82). „ქეთევან დედოფლის მონამეობრივ სიკვდილამდე სამი წლით ადრე მღვდელს ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევაში დასდეს ბრალი (არ ვიცი მართალია ეს, თუ არა), მაგრამ ფაქტია, რომ ქრისტიანი მღვდლების მტერმა მაჰმადიანებმა დასდეს ეს ბრალი და სიკვდილით დასჯის განაჩენიც გამოუტანეს. სიკვდილის წინ შესთავაზეს უარეყო ქრისტიანობა, ჩვენი მაცხოვარი, თავისი რწმენა, გამაჰმადიანებულებო და სიცოცხლე შეენარჩუნებინა. მღვდელმა უარი განაცხადა. იგი საშინელი წამებით მოკლეს“ (გულბენკიანი 1987: 30-31). ამ ამბების შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვს მოცემული მ. თამარაშვილს დონ გარსია

დე სილვა ფიგეროას მონაცემებზე დაყრდნობით (თამარაშვილი 1995: 540-541). თეიმურაზ ბატონიშვილის (თეიმურაზ ბატონიშვილი 1862ბ: 16) და ალ. სავანელის (სავანელი 1857: 46) ცნობით, ამ მღვდელს ვასილი რქმევია და იგი დედოფალთან ერთად უწამებიათ. უცნობია რა წყაროთი სარგებლობდნენ ისინი, სავარაუდოა, რომ ერთ-ერთ წყაროში წმ. ბასილის ორდენის ბერი აღქმული იყო საკუთარ სახელად და მათი შეცდომაც ამით ყოფილიყო განპირობებული.

**(28)** პოემაში ნახსენები ქეთევან დედოფლის მხლებელი თინათინი, კ. კეკელიძის ვარაუდით, შესაძლოა ყოფილიყო თინათინ ციბა, თინათინ ძიბა (კეკელიძე 1981: 494, სქ. 1), იმავეს ფიქრობს მ. გუგუშვილი და შესაძლებლად მიიჩნევს, რომ პოემაში ამ ფორმით აისახა დედოფლისა და თინათინის ურთიერთობა (გუგუშვილი 1981: 37). იგი ობოლი ყოფილა. სპარსეთში მყოფი ალავერდელი მიტროპოლიტის დებმა თავად რომ ვერ შეძლეს ბავშვის აღზრდა, თინათინისთვის თავშესაფარი სთხოვეს პიეტრო დელა ვალეს. პიეტრომ იგი თავის ცოლს მიუყვანა. მის სახლში იმყოფებოდნენ ქართველი მანდილოსნები ძიბა – მარინე და დიასახლისი მზისთანდარი, რომელთაც აღზარდეს თინათინი. პიეტრომ, როდესაც გაიცნო დედოფლის ხუცესი გიორგი, მისი საშუალებით თინათინი ქეთევანს დაუკავშირდა და ხშირად სტუმრობდა. დედოფალს ძალიან შეეყარებია იგი. თინათინი იტალიაში გაყვა პიეტროს (თამარაშვილი 1902: 88; ნატროშვილი 1991: 218-232). პიეტრო მას მარიუჩას ეძახდა და პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეირთო. პოემაში თინათინ ძიბა არ უნდა იგულისხმებოდეს, რადგან იგი დედოფლის წამების დროს შირაზში არ იმყოფებოდა და ამის შესახებ, მხოლოდ 1625 წელს ქ. ბასრაში შეიტყო.

**(29)** ქეთევან დედოფლის ამალაში 20-მდე ქრისტიანი ქალი და კაცი იყო (ნატროშვილი 1991: 223). ჩანს, მათი ნაწილი ქეთევანის წამების დროს გამაჰმადიანებულია. არაქელ დავრიყეცის ცნობით, დედოფალს ახლდა ორი ქართველი მღვდელი და სხვა მხლებლები. მასთან ერთად ერთი მღვდელთაგანი ეწამა, ხოლო დანარჩენები მიიმალნენ (არაქელ დავრიყეცი 1974: 43).

**(30)** ქეთევან დედოფლის თანმხლებთა შორის იყო მისი ხუცესი გიორგი. პოემის თანახმად, იგი იმერელი ყოფილა. მასაც მოსთხოვეს გამაჰმადიანება, ხოლო „ვითარცა იხილა ხუცესმან თავი თვისი ესევითარსა განსაცდელსა, შეეშინა შიშითა მწართა და უარჰყო ქრისტე“ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 26). იგი დედოფალთან გაგზავნეს და კიდევ ერთხელ სცადეს ქეთევანის გატეხა, თუმცა მან შეუთვალა, რომ მზად იყო ქრისტესთვის მომკვდარიყო. გიორგი მღვდლის გამუსლიმების შესახებ ბერი ეგნატაშვილიც მოგვითხრობს (ბერი ეგნატაშვილი 1959: 401-402). პიეტრო დელა ვალეს ცნობით, გიორგი მღვდელი დედოფლის სუფრაჯი, მოურავი და მებაღეც იყო. იმამყული-ხანს რამდენჯერმე ისპაჰანშიც წაუყვანია, როგორც გამოცდილი მებაღე. მისი ხელით დედოფალმა პიეტრო დელა ვალეს ორი ლათინური წიგნი გაუგზავნა. ხელნაწერებს დედოფლის მინაწერებიც ჰქონია (ავალიშვილი 1938: 58; ნატროშვილი 1991: 223, 228).

**(31)** ქეთევან დედოფლის სასტიკი წამების სცენა აღწერილია ორივე სვინაქსარულ ცხოვრებაში (წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ 1968: 431-433), ასევე ბერი ეგნატაშვილთან (ბერი ეგნატაშვილი 1959: 402), ალავერდის სახარების მინაწერში (A ფონდის აღწერილობა 1986: 215). გრიგოლ დოდორქელთან (გრიგოლ დოდორქელი 1989: 29), არაქელ დავრიყეცთან (არაქელ დავრიყეცი 1974: 43), ამბროზიო დუმ ანჟუშთან (გულბენკიანი

1987: 36-40), გრიგორ ორსინთან (თამარაშვილი 1902: 87), კათოლიკე მისიონერებთან (თამარაშვილი 1995: 539 სქ. 1).

**(32)** იგულისხმებიან წმინდა დიდმონაწემი ირინე (I ს.) და მარინე (IV ს.). წმ. ირინე წარმართი დიდებულის ქ. მაგედონის მმართველის ქალიშვილი იყო. ირინე მისმა აღმზრდელმა გააქრისტიანა. მამამ მას წარმართულ რჯულზე დაბრუნება უბრძანა და წინააღმდეგობის შემდეგ მისი წამება გადაწყვიტა, მაგრამ წამების დროს აღსულეებული სასწაულების გამო მანაც აღიარა ქრისტე. წმ. ირინეს წამება მაგედონის ახალმა მმართველმა გააგრძელა. მას მრავალი ტანჯვა შეამთხვიეს სხვადასხვა ქალაქში. მისი წამების დროს აღსულეებული სასწაულების გამო მრავალი ადამიანი გაქრისტიანდა. იგი ღრუბელმა მცირე აზიის ქ. ეფესოში გადაიყვანა, სადაც უფალს მიაბარა სული. ხსენების დღე აღინიშნება ძვ. სტ. 5 მაისს, ახ. სტ. 18 მაისს.

წმ. მარინე ანტიოქიაში დაიბადა წარმართი ქურუმის ოჯახში. იგი აღმზრდელმა აზიარა ქრისტიანობას. დიოკლეტიანეს დევნის დროს დაატყვევეს. მისი ცოლად შერთვა ქალაქის თავმა ოლიმპრემ გადაწყვიტა, მაგრამ მარინე მტკიცედ იდგა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ოლიმპრეს მიერ მოვლენილი მრავალგვარი განსაცდელისა და წამების მიუხედავად, წმ. მარინე არ გატყდა. მას საბოლოოდ თავი მოჰკვეთეს. ხსენების დღედ დაწესებულია ძვ. სტ. 17 ივლისი, ახ. სტ. 30 ივლისი.

**(33)** ქეთევანის წამების შემდეგ მისი ნეშტი გადააგდეს ძაღლებისა და მხეცების შესაჭმელად (არაქელ დავრიყევი 1974: 43), კათოლიკე მისიონერთა (წყაროს გამომქვეყნებელი ი. ტაბალუა არ უთითებს ავტორის ვინაობას, თ. ქ.) ცნობით, იმამყული-ხანის ბრძანებით „სიბინძურით სავსე ღრმა ორმოში“ ჩააგდეს (ტაბალუა 1986: 129). გრიგოლ დოდორქელის ცნობით, დედოფალი თავის მიერვე აგებულ ეგვიტერში დაკრძალეს

(გრიგოლ დოდორქელი 1989: 30). ამასვე იმეორებს თეიმურაზ ბატონიშვილი, იმონებებს რა ქართველ ავტორებს: ბესარიონ კათალიკოსს და გიორგი მღვდელ-მონაზონს (თეიმურაზ ბატონიშვილი 1862 ბ: 18-19). იმავეს წერს ალ. სავანელიც (სავანელი 1857: 46). დედოფლის ორი მოახლე ემსახურებოდა მის საფლავს, საიდანაც მრავალი კურნება აღესრულებოდა. შირაზში მყოფი კათოლიკე მისიონერები შეეცადნენ დედოფლის ცხედარი ხელში ჩაეგდოთ და შაჰ აბასს ორასოცი ათასი ვერცხლის რუბლიც კი შესთავაზეს, მაგრამ შაჰისგან უარის მიღების შემდეგ წამებულის ცხედარი მოიპარეს.

ამბროზიო დუშ ანჟუში გვამცნობს, რომ დედოფლის ცხედარი ტომარაში ჩადეს და ღრმა ორმოში დამარხეს (გულბენკიანი 1987: 41). სამარხი ისე მოასწორეს, რომ ქრისტიანებს მისი კვალი ვერ შეემჩნიათ. 3 თვის და 13 დღის განმავლობაში იყო დაფლული დედოფლის ცხედარი. შირაზში მყოფმა ავგუსტინელთა ორდენის წარმომადგენელმა ამბროზიო დუშ ანჟუშიმ დამხმარეებთან (ერთ-ერთი მათგანი იყო მორჩილი პედრო დუშ სანტუში) ერთად 1625 წლის 4 იანვარს დაიწყო საფლავის თხრა, რადგანაც მხოლოდ ღამით მუშაობდნენ, რომ მაჰმადიანთაგან შეუმჩნეველი ყოფილიყვნენ. ორი დღე დასჭირდა სამარხის გახსნას. წამებულის სხეული ავგუსტინელთა მონასტერში წაასვენეს და ორმო ისევ მინით ამოავსეს, რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო. „სხეული ჯერ მთლად გახრწნილი არ იყო, არავითარი უსიამოვნო სუნი არ ასდიოდა. პირიქით, ისეთ ნაზ სურნელს აფრქვევდა, რომ იქ დამსწრეთ სიამოვნებდა კიდევ. ცხედარი მკლავებზე დავისვენე, ფრთხილად და მონივნით გავწმინდე მინისგან, პატარა ყუთში ჩავდე, უფრო საიმედოდ რომ ყოფილიყო დაცული და ყუთში ჩავკეტე. სხეულის ყველა ძვალი გაშიშვლებულიყო. მხოლოდ მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი

იყო ისეთივე თეთრი და ლამაზი ხორციით დაფარული, როგორც სიცოცხლეში ჰქონდა სახელგანთქმულ ნამებულს“ (გულბენკიანი 1987: 42). ამბროზიო დუმ ანჟუშიმ მიიჩნია, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები შირაზში საფროთხეში იქნებოდა, ამიტომ ისპაჰანში მიმავალ ორ ბერს გაატანა ავეუსტინელთა მონასტერში დასასვენებლად. ისპაჰანში მოღვაწე ავეუსტინელი ბერები შაჰ აბასის ბრძანებით დააპატიმრეს და შირაზში ჩაიყვანეს. მათ თან წაიღეს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები. 10 თვის შემდეგ გათავისუფლებულმა ბერებმა სინმინდე ისევ ისპაჰანში დააბრუნეს. წინამძღვარმა, მორჩილმა ძმამ მანოელმა და მადრე დე დეუსმა გოაში წასვენეს დედოფლის მარჯვენა ხელი ხორციოთურთ და მკლავის ძვალი (გულბენკიანი 1987: 44). 1626 წლის მიწურულში გოადან ინერებოდა პროვინციის ვიკარიუსი მამა ჟუაუ და როშა, რომ საქართველოში აგზავნიან ორ ბერს და „დედოფლის ნემტის ნაწილს. ნემტი ჩვენთანაა, მაგრამ მხოლოდ ნაწილს ვაგზავნით, რადგან მთლიანად არ გვეთმობა“ (გულბენკიანი 1987: 77).<sup>1</sup> 1628 წელს ამბროზიო დუმ ანჟუში და მორჩილი ძმა პედრო დუმ სანტუში საქართველოში წამოვიდნენ, რათა თეიმურაზ მეფისთვის გადაეცათ წამებული დედოფლის წმინდა ნაწილები, კერძოდ თავი (გულბენკიანი 1987: 44). მათ იმედი ჰქონდათ, რომ სანაცვლოდ თეიმურაზი ბერებს უფლებას მისცემდათ დაეარსებინათ ავეუსტინელთა მისიონი. „შირაზში მყოფი ქართველები ამბობდნენ, რომ ბევრს უნახავს წმინდა დედოფლის საფლავზე სინათლის

---

<sup>1</sup> ქ. გოაში დაცული წმინდა ნაწილების მოძიებით დიდად დაინტერესდნენ XX საუკუნეში, ჩატარდა არქეოლოგიური კვლევები. 2006 წელს მიაგნეს შავი ქვის კუბოს, რომელშიც გადმოცემის თანახმად დასვენებული იყო სინმინდეები. 2013 წელს ძვლებს ჩაუტარდა დნმ-ის ანალიზი, რომლის დასკვნითაც აღმოჩენილი ქალის ძვლის ნაწილი ქეთევან დედოფლის კუთვნილებად გამოცხადდა (გაფრინდაშვილი 2016: 191).

დიდი ნათება, რომელიც რამდენიმე ღამეს გაგრძელდა. ნათება რომ გაქრა, საფლავთან მისულან. ცხედარი აღარ დახვედრიათ და მიმხვდარან, რომ ამოიღეს“ (გულბენკიანი 1987: 44). არაქელ დავრიჟეცის ცნობით, ქეთევანის წმინდა ნაწილების ნახევარი საფრანგეთში გაგზავნეს, ხოლო მეორე ნაწილი მეფე თეიმურაზს მიუბრძანეს, რომელმაც პატივით დაკრძალა თავის ეკლესიაში (ალავერდში) (არაქელ დავრიჟეცი 1974: 43). ბერი ეგნატაშვილის ცნობით, კათოლიკეებმა მოწამის „ჯელი და მკლავი“ გამოუგზავნეს მეფეს (ბერი ეგნატაშვილი 1959: 402). ქეთევან დედოფლის სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, კათოლიკე მღვდლები იყვნენ „ფურტუგეზელნი“ და წამებულის ცხედარიც ფურტუკში წაასვენეს (წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ, 1968: 433). მოგვიანებით, კი დედოფლის „მარჯუენა ჯელი და თხემი თავისა“ თეიმურაზ მეფეს მიართვეს (გრიგოლ დოდორქელი 1989: 31; წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ 1968: 433). შემდეგ, წმინდა მოწამის სხვა ნაწილებიც ჩამოაბრძანეს და ისინიც ალავერდის ტაძარში დაასვენეს (გრიგოლ დოდორქელი 1989: 32). ალ. სავანელის ცნობით, კათოლიკეებმა დედოფლის ცხედარი მოიპარეს, მისი წმინდა ნაწილების ერთი ნაწილი მეფე თეიმურაზს ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილი ბელგიის ქ. ნამიურში წააბრძანეს (სავანელი 1857: 46 სქ. ა). მკვლევარი ი. ტაბალუა მიჩნევს, რომ შესაძლოა ბელგიაში მოხვდა პიეტრო დელა ვალესთვის განკუთვნილი სინმინდეები (ტაბალუა 1986: 131-132), თუმცა 1631 წელს პიეტრო დელა ვალემ მაინც მიიღო წამებული დედოფლის სხვა ნაწილები, რომლებიც მას პიეტრო ავიტაბილემ და მორჩილმა ანტონიომ ჩაუტანეს რომში (ტაბალუა 1986: 132; ვათეიშვილი 2014 ბ: 166). 1632 წელს ბერძნულ და ლათინურ ენებზე დაიბეჭდა წიგნაკი „ქეთევან ქართველთა მეფის თეიმურაზის

დედის მარტვილობისა და იეზუიტთა მიერ ამის გამო ჩადენილი სიცრუისათვის“. ეპისტოლე 1626 წელს არის დაწერილი ტრაპიზონში გრიგოლ ხუცესმონაზონის მიერ. ტექსტში კახეთის მოოხრების ამბებია მოთხრობილი, ქეთევანის დატყვევების და წამების. დედოფლის ნეშტი მოსამსახურე ქალმა „მოახლამ“ (საკუთარ სახელად არის გაგებული) შეინახა. იეზუიტებმა რადგანაც ვერ იპოვეს წამებულის ცხედარი, სხვა გვამის თავი მიუტანეს თეიმურაზს და მოატყუეს, რომ ქეთევანის წმინდა ნაწილი იყო. ამ ამბავმა მოახლას ყურამდეც მიაღწია. თეიმურაზის სპარსეთთან დაზავების შემდეგ ქართველთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, მათ შორის მოახლაც და ქეთევანის ნეშტი ჩამოაბრძანა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ნაწილები დედოფლის იყო, იეზუიტები შეარცხვინეს, ხოლო თეიმურაზმა ქეთევანის ნაწილთა თაყვანისცემა აკრძალაო – „ისედაც ყველა წმიდათა რიცხვში ჩაითვლებაო“ (ავალიშვილი 1938: 70-71). ცხადია, ტექსტი კათოლიკეთა წინააღმდეგ არის მიმართული. ბერძენ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა დაპირისპირება დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისთვის რაც, თეიმურაზის კარზეც კარგად იგრძნობოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1723 წელს, კახეთში ლეკების შემოსევისას თეიმურაზ II ამალითა და ეპისკოპოსებითურთ ანანურში გაიხიზნა. მათ მიჰქონდათ სინწმინდეები, არაგვის გადალახვისას ცხენმა წაიბორძიკა და ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები წყალმა წაიღო (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 621).

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები (ფეხის ნაწილი) 1656 წელს თეიმურაზ I-მა გაუგზავნა რუსეთის მეფე ალექსანდრე მიხეილის ძეს (ტაბაღლა 1986: 137; პაიჭაძე 1965: 456-457). ეს სინწმინდეები დღეს ზაგორსკის მუზეუმში ინახება (გიორგაძე 1990: 54-55; ცინცაბაძე 2010: 53). ამ სინწმინდის მცირე

ფრაგმენტი 2003 წელს ავჭალის ქეთევან დედოფლის ტაძრის წინამძღვარმა საქართველოში ჩამოაბრძანა, ავჭალის ხსენებულ ეკლესიაში დაასვენა (გაფრინდაშვილი 2016: 188). ინდოეთის ქალაქ გოაში აღმოჩენილი წმინდა ნაწილები 2017 წლის 23 სექტემბერს საქართველოში ჩამოასვენეს 6 თვით.

დღესდღეობით დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოს რამდენიმე ტაძარშია დაცული: მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში და ავჭალის ქეთევან დედოფლის ეკლესიაში, ასევე ალავერდის ეკლესიის საკურთხეველში.

არსებობს ცნობები, რომ დედოფლის წმინდა ნაწილები დაცული იყო იტალიაში – პიეტრო დელა ვალეს ოჯახში, პორტუგალიაში და ბელგიის ქ. ნიამურას წმ. ობენის საკათედრო ტაძარში (დღეს დაკარგულია) (ცინცაბაძე 2010: 54).

**(34)** ნიმროზელი ანუ ნიმრუზელი, ზ. ავალიშვილის განმარტებით, სამხრეთელს ნიშნავს სპარსულად. მისი ვარაუდით, ავგუსტინელთა ორდენის წარმომადგენლები უნდა იგულისხმებოდნენ, რომელთაც რეზიდენცია ჰქონდათ სამხრეთში – ინდოეთის პორტუგალიელთა ახალშენ გოაში (ავალიშვილი 1938: 67).

**(35)** ნამებულის საფლავის მინა სწეულებს კურნავდა. ზოგი იცხებდა მინას, ზოგიც სვამდა და ყოველგვარი დაავადებისგან იკურნებოდა. წყალმანკითა და ცხელებით დასწეულებულნი გამოჯანმრთელდნენ (გრიგოლ დოდორქელი 1989: 30). ავგუსტინელთა წინამძღვარმა მანოელ დე მადრე დეუსმა გოაში წააბრძანა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები. იგი 2 წელი კენჭით გამოწვეული სენით იტანჯებოდა ისე, რომ სკამიდან სანოლში ბერის დახმარებით გადადიოდა. იგი თავად სწერდა პიეტრო დელა ვალეს, რომ „ორი წლის ტანჯვის შემდეგ სპარსეთის ექიმებმა მდგომარეობა ვერ შემიმსუბუქეს. სამკურ-

ნალოდ გოაში წასვლა გადავწყვიტე“. ისპაჰანიდან გოაში გამგზავრებული გზად თანდათან გამოკეთდა. „წმინდა განძმა გამოაჯანმრთელა“ (გულბენკიანი 1987: 44, 78).

**(36)** ქეთევან დედოფალი მონამეობრივად აღესრულა 1624 წლის 13 (ახ.სტ. 26) სექტემბერს. არაქელ დავრიჟეცის ცნობით, ეს ამბავი 1625 წელს მომხდარა (არაქელ დავრიჟეცი 1974: 43, 72). ქეთევან დედოფლის სვინაქსარული ცხოვრება მის მონამეობრივად აღსრულებას დასაბამიდან 7125 წლით ათარილებს (წამება ქეთევან დედოფლისა 1968: 433). ანტონ კათოლიკოსის ცნობით, ქეთევანის ხსენება 1 მარტს ყოფილა დანესებული, ხოლო 1703 წლის შემდეგ, კახეთში ანა დედოფლის მმართველობისას დაუდგენიათ 13 სექტემბერი. ყველა წყარო ქეთევანის აღსრულების დღედ 13 (ახ. სტ. 26) სექტემბერს ასახელებს. სავარაუდოა, რომ 1 მარტის ხსენების დღედ დანესება განპირობებული იყო დედოფლის წმინდა ნაწილების საქართველოში ჩამოსვენებით. თავდაპირველად დედოფლის ხსენება 1 მარტს აღინიშნებოდა, ხოლო 1703 წლის შემდეგ 13 სექტემბერს (გაბიძაშვილი 1968: 297-300). XVIII საუკუნის სადღესასწაულოს თანახმად, 20 აგვისტოს აღინიშნებოდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ჩამობრძანება და ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის ტრაპეზის ქვეშ დაბრძანება (S 4931, 669 v) (S ფონდის აღწერილობა 1969: 219). მ. თამარაშვილის ცნობით, კათოლიკე მისიონერებმა ქეთევანის წმინდა ნაწილები 1628 წლის 1 ივნისს ჩამობრძანეს გორში და გადასცეს მეფე თეიმურაზს (თამარაშვილი 1902: 102).

**(37)** იგულისხმება მარტყოფის აჯანყება, რომელიც მოხდა 1625 წლის ხარება დღეს (ძვ. სტ. 25 მარტს, ახ. სტ. 7 აპრილი). ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით მთლიანად გაანადგურეს მარტყოფის ველზე დაბანაკებული სპარ-

სელთა ლაშქარი. გამარჯვების შემდეგ ქართლსა და კახეთში მეფედ მოიწვიეს სპარსთაგან დევნილი თეიმურაზ I, რომლის მეთაურობითაც აღმოსავლეთ საქართველო რამდენიმე წლით გაერთიანდა (1625-1633 წწ.). გრიგოლ დოდორქელის ცნობით, დედოფლის ლოცვა აღსრულდა, მისი ქვეყანა გათავისუფლდა დამპყრობელთაგან და თეიმურაზმაც დაიბრუნა სამეფო (გრიგოლ დოდორქელი 1989: 30-31).

## ბამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. **ავალიშვილი 1938:** ავალიშვილი ზ., თეიმურაზ I და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა, პარიზი, 1938.
2. **ალექსიძე 2015:** ალექსიძე მ., ყადრი შირაზი იმამყული ხან უნ-დილაძის ტრიუმფისა და დაცემის შესახებ, საისტორიო კრებული, 2015, №5
3. **არაქელ დავრიჟეცი 1974:** არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბ., 1974.
4. **ბაგრატიონი 1978:** ბაგრატიონი დ., დიმიტრიანი (ლექსები და პოემები), გამოსაცემად მოამზადა რ. ნაკაშიძემ, თბ., 1978.
5. **ბარამიძე 1975:** ქართული პოეზია, ტ. III, ტომი შეადგინა ს. ცაიშვილმა; წინასიტყვაობა ალ. ბარამიძისა, თბ., 1975.
6. **ბერი ეგნატაშვილი 1959:** ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
7. **გაბაშვილი 1972:** გაბაშვილი ვ., უნდილანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში ქართული წყაროების მიხედვით), კრ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1972.
8. **გაბიძაშვილი 1968:** გაბიძაშვილი ე., XVII-XVIII საუკუნეების სვინაქსარული ცხოვრებანი, ქეთევან დედოფალი, წგ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1968.
9. **გაფრინდაშვილი 2016:** გაფრინდაშვილი ბ., ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების ძიებაში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2016, №2.

10. **გელაშვილი 1977:** გელაშვილი ნ., დაუდ-ხანისა და თეიმურაზ I-ის აჯანყება ი. მუნშის თხზულების მიხედვით, მაცნე, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1977, №2
11. **გიორგაძე 1990:** გიორგაძე რ., საქართველოს ეკლესიის სინდიკატი ზაგორსკის მუზეუმში, ჯვარი ვაზისა, თბ., 1990, №2.
12. **გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 2002:** გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ და ც. კახაბრიშვილმა, რედ. მ. ქავთარია, თბ., 2002.
13. **გრიგოლ დოდორქელი 1989:** გრიგოლ დოდორქელი, ნამება ქეთევანისი, ნგ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. V, დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, რედაქტორი მზექალა შანიძე, თბ., 1989.
14. **გუგუშვილი 1979:** გუგუშვილი მ., თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა, თბ., 1979.
15. **გუგუშვილი 1981:** გუგუშვილი მ., თეიმურაზ პირველი, თბ., 1981.
16. **გულბენკიანი 1987:** გულბენკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მონამებრივი სიკვდილის შესახებ, ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბალუამ და ც. ბიბლიეშვილმა, თბ., 1987.
17. **ვათეიშვილი 2014 ა:** ვათეიშვილი ჯ., საქართველო და ევროპის ქვეყნები XIII-XIX სს. ტ. I, საქართველო და დასავლეთ ევროპა XVII-XVIII სს. თბ., 2014.
18. **ვათეიშვილი 2014 ბ:** ვათეიშვილი ჯ., საქართველო და ევროპის ქვეყნები XIII-XIX სს. ტ. II, საქართველო და დასავლეთ ევროპა XIII-XVII სს. თბ., 2014.

19. **ვახუშტი ბატონიშვილი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
20. **თამარაშვილი 1902:** თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
21. **თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995.
22. **თეიმურაზ პირველი 1934:** თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფ., 1934.
23. **თეიმურაზ ბატონიშვილი 1862:** თეიმურაზ ბატონიშვილი, მონმობა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1862, №4.
24. **თეიმურაზ ბატონიშვილი 1862:** თეიმურაზ ბატონიშვილი, მონმობა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1862, №5.
25. **ისქანდერ მუნშის 1969:** ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969.
26. **კეკელიძე 1981:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.
27. **მამისთვალისძე 2011:** მამისთვალისძე ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II (XVII ს-ის პირველი ნახევარი – თეიმურაზ I-ის ეპოქა), თბ., 2011.
28. **მაედა 2008:** მაედა ჰ., ქართველები სეფიანთა ირანში, თბ., 2008.
29. **ნატროშვილი 1983:** ნატროშვილი თ, თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამყული-ხან უნდილაძე, ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 171.

30. **ნატროშვილი 1991:** ნატროშვილი თ., მაშრიყით მალრიბამდე, თბ., 1991.
31. **პაიჭაძე 1965:** პაიჭაძე გ. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658), საისტორიო მოამბე, ტ. 19-20, თბ., 1965.
32. **პიეტრო ავიტაბილე 1977:** პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძის, თბ., 1977.
33. **პიეტრო დელა ვალე 1879:** პიეტრო დელა ვალე, მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანუს მერვისადმი, 1627 წ. ივერია, 1879, №3.
34. **ჟან შარდენი 1975:** ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მაგალობლიშვილმა, თბ., 1975.
35. **ჟორდანია 1984:** ჟორდანია გ., თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, ჟურ. მნათობი, 1984, №5.
36. **ჟორდანია 1897:** ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ნ. II, ტფ., 1897.
37. **სავანელი 1857:** სავანელი ალ. ცხოვრება ქეთევან დედოფლისა, ჟურ. ცისკარი, №12, 1857.
38. **სვანიძე 1971:** სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1971.
39. **ტაბალუა 1974:** ტაბალუა ი., ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სიტორიის სერია, №1, 1974.
40. **ტაბალუა 1986:** ტაბალუა ი., საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ნ. II, თბ., 1986.
41. **ტივაძე 1973:** ტივაძე თ., კრ: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1973, ტ. II, დოკ. №6.

42. **ტივაძე 1977:** ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის IIMNნახევარში, თბ., 1977.
43. **ტივაძე 1990:** ტივაძე თ., თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990.
44. **ფალსაფი 2003:** ფალსაფი ნ., შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ) სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჯოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ჯ. სტეფნაძემ. თბ., 2003.
45. **ფარსადან გორგიჯანიძე 1925:** ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა „საისტორიო მოამბე“, ნიგნი II, ტფ., 1925.
46. **ქავთარია 1977:** ქავთარია მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს, თბ., 1977.
47. **ქართულ ხელნაერთა კოლექციის აღწერილობა 1949:** ქართულ ხელნაერთა კოლექციის აღწერილობა, ტ. I, მ. გაბრიჩიძის, ა. იოვიძის, შ. ჩხეტიას საერთო რედაქციით, თბ., 1949.
48. **კასტელი 1976:** კასტელი კრისტოფორო დე, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976.
49. **ცინცაბაძე 2010:** ცინცაბაძე მ., ქართველთა დიდმონაწემ წმინდა ქეთევან დედოფალი, თბ., 2010.
50. **ცხოვრება საქართველოვსა 1980:** ცხოვრება საქართველოვსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980.
51. **ნამეზაძე ქეთევან დედოფლისა 1968:** ნამეზაძე ქეთევან დედოფლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1968.

52. **H ფონდის აღწერილობა 1946:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ტ. I, თბ., 1946.
53. **S ფონდის აღწერილობა 1959:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიდის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.
54. **S ფონდის აღწერილობა 1961:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1961.
55. **S ფონდის აღწერილობა 1963:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიდის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1963.
56. **S ფონდის აღწერილობა 1965:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძის და ც. ჭანკიევის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1965.
57. **S ფონდის აღწერილობა 1967:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V, შედგინეს და და-

საბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიცნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1967.

- 58. S ფონდის აღწერილობა 1969:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1969.
- 59. S ფონდის აღწერილობა 1973:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VII, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973.
- 60. Делла Валле 1994:** Делла Валле, Информация о Грузий Пьетро Делла Валле, кг. Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и грузия, ч. I, Тб., 1994.
- 61. Накашидзе 1968:** Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968.
- 62. Maeda :** Maeda H., Some New Information on the Lives of Queen Ketevan and King Luarsab II, გამოუქვეყნებელი მასალა.



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

0193 თბილისი, მერაბ აღუქსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

[www.manuscript.ge](http://www.manuscript.ge) [info@manuscript.ac.ge](mailto:info@manuscript.ac.ge)

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS